ილუსტრაცია: კარგი მმართველობის შედეგები
ავტორი: ა.ლორენცეტი – Sala dei Nove
სიენა, იტალია (1339 წ.)

გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმი

მექანიზმი

მექანიზმის მიზანია, შექმნას ინტეგრირებული ჩარჩო, რომლითაც იხელმძღვანელებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და პრაქტიკოსები, რათა ეტაპობრივ მიდგომით გააძლიერონ სამოქალაქო ჩართულობა კონტექსტზე დაფუძნებული სტრატეგიების შექმნისა და დანერგვის პროცესში.

ევროპის საბჭო

კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრი

2020 წლის აპრილი

CENTRE OF EXPERTISE FOR GOOD GOVERNANCE

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმი

შეიმუშავა

კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრმა, გორიციის სოციოლოგიის
საერთაშორისო ცენტრთან (ISIG) თანამშრომლობით

ევროპის საბჭო

ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და შესაძლოა, ის არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონულად (CDRom, ინტერნეტი და ა.შ.), ან მექანიკური საშუალებით, მათ შორის, ასლის გადაღებით, ჩაწერით ან ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

ევროპის საბჭო

კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრი

https://www.coe.int/en/web/good- governance/centre-of-expertise

© Centre of Expertise for Good Governance, 2017, 2020

კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრი

შექმნის დღიდან, კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრი საქმიანობს დეცენტრალიზაციისა და მმართველობის სწრაფად განვითარებად კონტექსტში: წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფუნქციების გადაცემა ცენტრალურიდან ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე და დეცენტრალიზაციის პოლიტიკა მზარდ ყურადღებას იპყრობს. დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ცენტრის ინსტრუმენტები და მეთოდები, რომლებიც ამჟამად სრულფასოვნად ასახავს ბოლოდროინდელ განვითარებებსა და აქტუალურ საკითხებს.

ამ კონტექსტში, ცენტრის შესაძლებლობათა განვითარების პროგრამები და იურიდიული დახმარების აქტივობები მხარს უჭერს ადგილობრივი მმართველობის მიმდინარე რეფორმებს და სულ უფრო მეტად მიემართება არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებასაც. ამჟამად ცენტრი პარტნიორებსა და ბენეფიციარებს უახლეს ექსპერტულ ცოდნას სთავაზობს მრავალდონიან მმართველობაზე.

ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ხორციელდება პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული „სპეციფიკური პროექტები“, რომელთა მიზანია როგორც კანონმდებლობის გაუმჯობესება, ისე ინსტიტუციური შესაძლებლობების განმტკიცება მმართველობის ყველა დონეზე.

თავისი უნიკალური პოზიციით, ცენტრი ხელს უწყობს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საჭიროებების დაბალანსებას, მრავალდონიანი მმართველობის მხარდასაჭერად. ცენტრის მიდგომა ფოკუსირებულია ადგილობრივი მმართველობის აქტორთა საჭიროებების გააზრებაზე. ამავდროულად, კავშირები ევროპის საბჭოს დემოკრატიისა და მმართველობის მთავრობათაშორის კომიტეტთან (CDDG) ცენტრს აძლევს წვდომას 46 წევრი სახელმწიფოს მაღალი დონის სახელისუფლებო პირებზე, რომელთაც დიდი ცოდნა და ექსპერტული გამოცდილება აქვთ მმართველობის რეფორმის სფეროში.

დღეისათვის ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია და კარგი მმართველობის 12 პრინციპი. ამის მისაღწევად, ცენტრი კონსულტაციას უწევს სამართლისა და პოლიტიკის საკითხებზე და ნერგავს საბაზისო სტანდარტებს, შეფასების ინსტრუმენტებსა და ინოვაციურ მეთოდოლოგიებს.

გორიციის სოციოლოგიის საერთაშორისო ცენტრი (ISIG)

ISIG დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტია, რომელიც საქმიანობს სოციალურ მეცნიერებათა სფეროში.

ცენტრი დაარსდა 1968 წელს, იტალიის ქალაქ გორიციაში. ცენტრის სამომავლო ხედვას წარმოადგენს მშვიდობიანი ურთიერთობები, რომელსაც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობა და ეფუძნება განსხვავებების, როგორც რესურსების აღიარებას.

ISIG ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ატარებს კვლევებს და აგროვებს ცოდნას პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებს, ასევე, ადგილობრივი თემების კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

მონაწილეობითი პროცესები და ადგილობრივ განვითარებაში ჩართულობა ISIG-ის საქმიანობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ცენტრის კვლევითი აქტივობები ფოკუსირებულია იმ მეთოდებისა და ინტერპრეტაციული მოდელების განვითარებაზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ინოვაციური სტრატეგიების შემუშავება და პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელება ადგილობრივ დონეზე. ამ თვალსაზრისით, ISIG-ის საბოლოო მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ფართო სპექტრის მონაწილეობითი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით, ISIG ახერხებს დაინტერესებულ მხარეთა ინტეგრაციას. კერძოდ, საწყის ეტაპზე ის აანალიზებს და ადარებს მედიაციური გავლენის მქონე სოციალურ ცვლადებს (როგორიცაა თემის ინტეგრაციული ფუნქცია, სიმბოლურ სივრცეთა როლი, სამომავლო პროგნოზები და საჭირო ქმედებები მიზნის მისაღწევად). საბოლოო ჯამში, ეს მხარს უჭერს ადგილობრივი კონტექსტის ინტეგრირებულ განვითარებას, ასევე, პოლიტიკის დანერგვის დამაბრკოლებელი თუ ხელშემწყობი შიდა და გარე ფაქტორების გაანალიზებს, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, წინასწარ შეფასდეს პროექტის მიზანშეწონილობა.

სარჩევი

1. შესავალი 8
1.1. კონტექსტი 8
1.2. მექანიზმის სტრუქტურა 10
2. სამოქალაქო ჩართულობის ჩარჩო 11
2.1. კონტექსტი 11
2.2. ძირითადი კონცეფციები 11
2.2.1 თემი 12
2.2.2 სამოქალაქო საზოგადოება 12
2.2.3 სამოქალაქო ორგანიზაცია 13
2.2.4 სამოქალაქო აქტივობა 13
2.2.5 სოციალური კაპიტალი 13
2.2.6 გადაწყვეტილების მიღების პროცესი 13
2.2.7 ფართო სამოქალაქო საზოგადოება 13
2.3 სამოქალაქო ჩართულობა 13
2.3.1 რეკომენდაცია ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ 14
2.3.2 C.L.E.A.R.: ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასების ინსტრუმენტი 15
2.3.3 სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპები 16
3. ინსტრუმენტი 19
3.1 კონტექსტი 19
3.2 ოპერაციული კომპონენტები 20
3.3 ადგილობრივი თემის შეფასება 22
3.3.1 სოციალური კაპიტალის ცვლადები 22
3.3.2 ეკონომიკური კაპიტალის ცვლადები 23
3.3.3 ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ცვლადები 23
3.3.4 პოლიტიკური კაპიტალის ცვლადები 24
3.3.5 სოციალური კაპიტალის განზომილება 26
3.3.6 ეკონომიკური კაპიტალის განზომილება 27
3.3.7 ადამიანური კაპიტალის განზომილება 27
3.3.8 პოლიტიკური კაპიტალის განზომილება 28

3.4 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და შეფასება 29
3.4.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია 29
3.4.2 დაინტერესებულ მხარეთა შეფასება 31
4. სტრატეგიები 41
4.1 მონაწილეობის სტრატეგიები 41
4.1.1 კვადრატი 1 - ინფორმაცია 42
4.1.2 კვადრატი 2 - კონსულტაცია 43
4.1.3 კვადრატი 3 - დიალოგი 48
4.1.4 კვადრატი 4 - პარტნიორობა 50
4.2 მონაწილეობის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები 53
4.2.1 სტრატეგია 1 - ინფორმაციიდან კონსულტაციამდე 53
4.2.2 სტრატეგია 2 - კონსულტაციიდან დიალოგამდე 54
4.2.3 სტრატეგია 3 - დიალოგიდან პარტნიორობამდე 55
4.2.4 სტრატეგია 4 - პარტნიორობის განმტკიცება 56
5. გამოყენებული წყაროები: 57

ცხრილების სია

ცხრილი 1 - სოციალური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში
ცხრილი 2 - ეკონომიკური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში
ცხრილი 3 - ადამიანური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში
ცხრილი 4 - პოლიტიკური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში
ცხრილი 5 - დაინტერესებულ მხარეთა მონაცემთა ბაზის სისტემატიზაციის მაგალითი
ცხრილი 6 - სოციალური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში
ცხრილი 7 - ეკონომიკური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში
ცხრილი 8 - ადამიანური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში
ცხრილი 9 - პოლიტიკური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში
ცხრილი 10 - სოციალური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში
ცხრილი 11 - ეკონომიკური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში
ცხრილი 12 - ადამიანური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში
ცხრილი 13 - პოლიტიკური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში
ცხრილი 14 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ტიპები და დონეები

გამოსახულებების სია

გამოსახულება 1 - ნდობის დანერგვა ფართო მონაწილეობისათვის

გამოსახულება 2 - მექანიზმის მიზნები
გამოსახულება 3 - მექანიზმის თეორიული სვეტები
გამოსახულება 4 - ძირითადი კონცეფციები სამოქალაქო ჩართულობის გასააზრებლად
გამოსახულება 5 - C.L.E.A.R.-ის ძირითადი პრინციპები
გამოსახულება 6 - მოქალაქეთა ჩართულობის პარადიგმები
გამოსახულება 7 - ინსტრუმენტის სტრუქტურა
გამოსახულება 8 - მონაწილეობისათვის რელევანტური განზომილებები
გამოსახულება 9 – ინსტრუმენტში „ადგილობრივი თემის შეფასების“ გვერდი
გამოსახულება 10 – „თემის შეფასების“ შემაჯამებელი ცხრილი, რომელიც ასახავს თითოეული განზომილების შემთხვევაში მინიჭებულ ქულებს
გამოსახულება 11 -„დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის და შეფასების“ გვერდის რელევანტურობის სექცია
გამოსახულება 12 -„დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და შეფასების“ გვერდის ინტერესის სექცია
გამოსახულება 13 - დაინტერესებულ მხარეთა დიაგრამა ინსტრუმენტში
გამოსახულება 14 - დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის ტაქსონომია
გამოსახულება 15 - დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გაზრდის სტრატეგიები

აკრონიმები

CBC – საზღვართაშორისი თანამშრომლობა
CoE – ევროპის საბჭო
CSO – სამოქალაქო ორგანიზაცია
LA – ადგილობრივი ხელისუფლება
NGO – არასამთავრობო ორგანიზაცია

1. შესავალი

1.1. კონტექსტი



გამოსახულება 1 - ნდობის დანერგვა ფართო მონაწილეობისათვის

„სამოქალაქო ჩართულობა დემოკრატიის იდეის მთავარი ასპექტია.“[1] ეფექტიანი დემოკრატია დამოკიდებულია მოქალაქეთა უფლებაზე, გამოხატონ თავიანთი პოზიცია და ხელისუფლებას ესმოდეს მათი. სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება საფუძვლად უდევს ევროპის საბჭოს 2018 წლის რეკომენდაციას „ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ“. ამ დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს საკონსულტაციო და მონაწილეობითი პროცესების დანერგვას ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში.

სამოქალაქო საზოგადოების ყველა ჯგუფის მონაწილეობა ხელისუფლების ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ერთ-ერთი წინაპირობაა ფუნქციონირებადი დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად და დემოკრატიული უსაფრთხოების ხელშესაწყობად. იგი იძლევა კრიტიკულ საკითხებზე ღია დიალოგის საშუალებას, ხელისუფლებას ეხმარება უფრო ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღებაში და განამტკიცებს მმართველობას. სამოქალაქო

[1] Council of Europe, CM/Rec(2018)4

მონაწილეობა მხარს უჭერს და აძლიერებს წარმომადგენლობით დემოკრატიას. თუ მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ მათი პოზიცია გათვალისწინებულია ზოგად პოლიტიკაზე მიმდინარე დებატებში, ასევე, გადაწყვეტილების მიღების ყოველდღიურ პროცესებში, ეს გადაწყვეტილებები უფრო მისაღები იქნება მათთვის. გარდა ამისა, მოქალაქეები მეტი ნდობით აღიჭურვებიან არჩეულ წარმომადგენელთა მიმართ. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ინდივიდების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში და მათი გაძლიერება ამ კუთხით.[2]

სამოქალაქო ჩართულობის ეფექტიან მექანიზმთა გამოყენება ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის მისაღწევად, გულისხმობს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა წახალისდეს ინკლუზიური და გამჭვირვალე ფორმით. ამასთანავე, ეფექტიანი მონაწილეობა სცდება იმ დაშვებას, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩართვა ნებისმიერ გარემოებებში და გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე. ამ პროცესის საყოველთაო ხელმისაწვდომობა ნიშნავს თითოეულ განცხადებასა და მოსაზრებაზე პასუხის გაცემას და მათ ინტეგრირებას სტრატეგიის ან პოლიტიკის შემუშავებაში, რათა დაცული იყოს მონაწილეობითი პროცესის დაწყებისას შექმნილი ორმხრივი ნდობის პაქტი. ამ მიზნის მისაღწევად (ე.ი. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრების ინტეგრირება ახალი პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებაში), სიფრთხილით უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე ყველა მხარე და მათი ჩართულობის დონე თითოეულ ეტაპზე.

ევროპის საბჭოს ძალისხმევა წევრ სახელმწიფოებში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობისა და განმტკიცების სფეროში ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტია (CETS 122);
- კონვენცია ადგილობრივი დონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ (CETS 144);
- რეკომენდაცია (2001) მონაწილეობის შესახებ (ჩაანაცვლა რეკომენდაციამ Rec(2018)4);
- რეკომენდაცია (2009) ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მონაწილეობისა და მონაწილეობითი პოლიტიკის შეფასების, აუდიტისა და მონიტორინგის შესახებ;
- ევროპის საბჭოს C.L.E.A.R.-ის ინსტრუმენტი სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ (2008);
- ევროპის საბჭოს მექანიზმი საზღვართაშორისი მმართველობის სისტემებში სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის შესახებ: „საზღვართაშორის მმართველობაში სამოქალაქო ჩართულობის ევროპული გამოცდილება“ (2015);
- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ (2017);

[2] Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making.

- წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)4 ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ

წინამდებარე მექანიზმის მიზანია ამ ცოდნისა და რეკომენდაციების თავმოყრა ინტეგრირებულ ჩარჩოში, რომლითაც იხელმძღვანელებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და პრაქტიკოსები, რათა გაზარდონ სამოქალაქო ჩართულობა კონტექსტზე დაფუძნებულ სტრატეგიათა შემუშავება-განხორციელების პროცესში.

მექანიზმის მიზნები:



გამოსახულება 2 - მექანიზმის მიზნები

1.2. მექანიზმის სტრუქტურა

მექანიზმი შედგება სამი სექციისგან:

- ევროპის საბჭოს ძირითადი ჩარჩო დოკუმენტების კრებული, რომლებიც განსაზღვრავს სამოქალაქო ჩართულობის პრინციპებს;
- სამოქმედო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ინსტრუმენტი, რომ დავადგინოთ ფართო საზოგადოების სწრაფვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობისაკენ და დეტალურად გავაანალიზოთ თითოეული დაინტერესებული მხარის პოტენციალი კონკრეტულ თემაზე მიმდინარე მონაწილეობით პროცესში ჩასართავად;
- იმ სტრატეგიათა მიმოხილვა, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიურ მონაწილეობას მათი პოტენციალის შეფასებაზე დაყრდნობით და აუმჯობესებს მონაწილეობის დონეს.

2. სამოქალაქო ჩართულობის ჩარჩო

2.1. კონტექსტი

ამ ნაწილში მიმოხილულია ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები და ჩარჩოები, რომლებიც შეეხება სამოქალაქო ჩართულობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ნაშრომი ეფუძნება მოქალაქეთა მონაწილეობის იმ ჩარჩოებსა და პრინციპებს, რომლებიც ბოლო წლებში დაადგინა ევროპის საბჭომ, კერძოდ, შემდეგ დოკუმენტებს:

2008	2015	2017	2018
• C.L.E.A.R.-ის ინსტრუმენტი	• საზღვართაშორის მმართველობაში სამოქალაქო ჩართულობის ევროპული გამოცდილება	• სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპები	• რეკომენდაცია ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ (ჩაანაცვლა 2001 წლის რეკომენდაცია)

გამოსახულება 3 - მექანიზმის თეორიული სვეტები

ამასთან, ინსტრუმენტი ასახავს სამოქალაქო ჩართულობის კარგი პრაქტიკის შესწორებულ კოდექსში წარმოდგენილ ზოგად პრინციპებსა და სტანდარტებს.[3] კოდექსი, რომელიც პირველად 2009 წელს მიიღეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციაზე (CONF/PLE(2009)CODE1) და შესწორდა 2019 წელს, ადგენს ჩარჩოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის სტრუქტურული დიალოგის ხელშესაწყობად. მექანიზმი იზიარებს კოდექსის ხედვას მოქალაქეთა მრავალმხრივი და მრავალდონიანი მონაწილეობის მიმართაც. გარდა ამისა, მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ევროპის საბჭოს მუდმივად განვითარებადი ცოდნისა და ინსტრუმენტების ჰარმონიზაციას სამოქალაქო ჩართულობის შესახებ. დოკუმენტი წინ გადადგმული ნაბიჯია სამოქალაქო ჩართულობის პრინციპების ეფექტიანად დანერგვის პროცესში.

2.2. ძირითადი კონცეფციები[4]

ქვემოთ განმარტებულია მექანიზმში გამოყენებული შემდეგი ძირითადი კონცეფციები.

[3] Conference of INGOs of the Council of Europe, Code of Good practice for Civil participation – 2019.

[4] ძირითადი კონცეფციების განმარტებები ამოღებულია: Council of Europe, CDLR. (2008): C.L.E.A.R. Tool, გვ.45-47.



გამოსახულება 4 - ძირითადი კონცეფციები სამოქალაქო ჩართულობის გასაზრებლად

2.2.1 თემი

ერთმანეთთან ინტერაქციაში მყოფ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საერთო ადგილას ცხოვრობენ. ზოგ შემთხვევაში, ის განისაზღვრება „საზოგადოებაზე“ უფრო მჭიდრო და ერთიან სოციალურ ერთეულად, ვინაიდან თემში არსებობს „საერთო ნება“. კომუნიტარიზმის თეორიის თანახმად, თემის წარმოშობა უკავშირდება ინდივიდთა ნებაყოფლობით ქმედებებს, რაც ხაზს უსვამს მის როლს ინდივიდებისა და მათი იდენტობის ფორმირებაში; ამასთანავე, კომუნიტარიზმის ხედვით, ფასეულობები და რწმენა ვერ იარსებებს იმ საჯარო სივრცის მიღმა, სადაც დებატები მიმდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ თემი მონაწილეობის წინაპირობაც არის და შედეგიც. იგი ქმნის „ერთიანობის განცდას“, რისთვისაც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საჭიროა:

- წევრობა;
- გავლენა;
- საჭიროებათა ინტეგრაცია და დაკმაყოფილება;
- საერთო ემოციური კავშირი.

2.2.2 სამოქალაქო საზოგადოება

მოხალისე სამოქალაქო და სოციალური ორგანიზაციების/დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც, კომერციული ინსტიტუტებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისგან განსხვავებით (პოლიტიკური სისტემის მიუხედავად), საფუძველს ქმნიან ფუნქციონირებადი საზოგადოებისთვის.

2.2.3 სამოქალაქო ორგანიზაცია

სტრუქტურა, რომელშიც ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოება. იგი შედგება არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, როგორიცაა ჯგუფები, ასოციაციები და მოძრაობები, და განსხვავდება სამთავრობო ორგანიზაციისგან.

2.2.4 სამოქალაქო აქტივობა

სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგი. ვიწრო გაგებით, ეს აქტივობები თემს უნდა ემსახურებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი არ მოიცავს ინდივიდუალურ, კერძო ინტერესზე ორიენტირებულ საქმიანობას, რთულია მათი დამაჯერებლად გამიჯვნა დანიშნულების თვალსაზრისით.

2.2.5 სოციალური კაპიტალი

ყველა „სოციალური ქსელის“ საერთო ღირებულება (ე.ი. თუ ვის იცნობენ ადამიანები) და ამ ქსელის ფარგლებში წარმოქმნილი მისწრაფება ერთმანეთისთვის საქმის საკეთებლად (ე.ი. ნაცვალგების ნორმები); იმ სოციალური ნდობის, ნორმებისა და ქსელების ერთობლიობა, რომელსაც ადამიანები ეყრდნობიან საერთო პრობლემათა გადასაჭრელად.

2.2.6 გადაწყვეტილების მიღების პროცესი

პოლიტიკის დოკუმენტის, სტრატეგიის, კანონის ან რეგულაციის შემუშავება, მიღება, განხორციელება, შეფასება და ხელახალი ფორმულირება, ან ნებისმიერი პროცესი, რომელშიც უფლებამოსილი ორგანო იღებს საზოგადოებაზე ან მის რომელიმე სეგმენტზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებას.

2.2.7 ფართო სამოქალაქო საზოგადოება

ადამიანთა ორგანიზებული ან ნაკლებად ორგანიზებული ერთობლიობა და არაფორმალური ჯგუფები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს წვლილი შეაქვთ საზოგადოებაში, ან გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ფართო სამოქალაქო საზოგადოებაში ერთიანდებიან არასამთავრობო, პროფესიული ან სამოქალაქო (grass-roots) ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, რელიგიური და არაკონფესიური ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები, სამეთვალყურეო ორგანიზაციები (watchdogs) და მამხილებლები.

2.3 სამოქალაქო ჩართულობა

„ინდივიდების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფართო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა საჯარო ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.“[5] ასეთი ჩართულობის მიზანი უნდა იყოს ინდივიდთა შეხედულებების მოპოვება, შეგროვება და გამოყენება პირდაპირ, ან სამოქალაქო ორგანიზაციების საშუალებით. სამოქალაქო ჩართულობით შესაძლებელია იმ

[5] Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making, გვ. 2.

ფაქტობრივი და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციისა და შეხედულებების გაცვლა, რომელთა საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება და კმაყოფილდება საზოგადოების რეალური საჭიროებები.[6]

ამავდროულად, ადამიანთა ჩართვა პროცესში ადვილი არ არის. ძირითადი დაბრკოლებები უკავშირდება მონაწილეობითი შესაძლებლობების ნაკლებობას, ან ნაკლებ ჩართულობას პოლიტიკურ ორგანიზაციებსა თუ საკითხებში.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს მოქალაქეთა, მათ შორის, პოლიტიკოსთა არასათანადო ინფორმირება მონაწილეობის შედეგებზე, ან მათ როლზე თემის დემოკრატიულ ცხოვრებაში. სათანადო ცოდნის გარეშე, სამოქალაქო საზოგადოება ვერ შეძლებს მონაწილეობითი მიდგომის აქტიურად ინტეგრირებას ყოველდღიურ დისკურსებსა და, შედეგად, ადგილობრივ იდენტობაში.

2.3.1 რეკომენდაცია ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ

პირველი რეკომენდაცია მონაწილეობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო 2011 წელს, ხოლო 2018 წელს ის ჩანაცვლდა განახლებული ვერსიით. დოკუმენტი განსაზღვრავს ადგილობრივი დემოკრატიული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ასევე, კონკრეტულ ნაბიჯებსა და ზომებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის განსამტკიცებლად.[7] მისი მიზანია, ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის ორგანოებს, რომლებიც ცდილობენ, გააუმჯობესონ მოქალაქეთა შესაძლებლობები საკუთარი თემის ცხოვრებაში ჩასართავად. დოკუმენტი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის გასცემს ხუთ რეკომენდაციას შემდეგ საკითხებზე: პოლიტიკის ფორმულირება; ზომების მიღება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, რათა ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს აძლევდეს ფართო სპექტრის ინსტრუმენტთა გამოყენების საშუალებას მონაწილეობის კუთხით; ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებული პოლიტიკის გადახედვა; და რეკომენდაციების თარგმნა ეროვნულ ენებზე.

რეკომენდაციის დანართი იყოფა ხუთ სექციად:

A სექციაში წარმოდგენილია ადგილობრივი დემოკრატიული მონაწილეობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მონაწილეობის ჩარჩოს შემუშავებისას. ამ პრინციპებს უნდა იცავდნენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებიც.

[6] Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making, გვ. 3.
[7] Council of Europe, CM/Rec(2018)4.

B სექციაში განსაზღვრულია ის ნაბიჯები და ზომები, რომელთა მიღებაც შეუძლიათ შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელისუფლებო ორგანოებს.

2.3.2 C.L.E.A.R.: ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასების ინსტრუმენტი

2008 წელს ევროპის საბჭომ გამოაქვეყნა C.L.E.A.R.-ის ინსტრუმენტი[8], რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეხმარება, რომ შეაფასონ ადგილობრივი თემების სწრაფვა და შესაძლებლობები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად, ასევე, საკუთარი რესურსები ამ პროცესის მხარდასაჭერად.

მომდევნო პუნქტები აღწერს ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება C.L.E.A.R.



გამოსახულება 5 - C.L.E.A.R.-ის ძირითადი პრინციპები

2.3.2.1 ლეგიტიმაცია და ანგარიშვალდებულება

ადგილობრივი ხელისუფლება ვერ შეასრულებს თემის ეფექტიანი ლიდერის როლს, თუ არ სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით. უფრო ზოგადად, საჭიროა საზოგადოების ნდობის განმტკიცება პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, რის მისაღწევადაც ყველაზე ეფექტიანი იქნება მოქალაქეთა აქტიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმართ. დემოკრატიის განმსაზღვრელი ელემენტები მოქალაქეებს აძლევს საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, აყალიბებს მოქალაქეთა გრძელვადიან ერთგულებას პოლიტიკური სისტემის მიმართ. აუცილებელი არ არის, მოქალაქეთა ინდივიდუალური პოზიციები გადამწყვეტი იყოს: დემოკრატია გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას უმრავლესობის მიერ, თუმცა ინდივიდის პოზიციაც გასათვალისწინებელია.

[8] Council of Europe, CDLR. (2008). C.L.E.A.R. Tool.

2.3.2.2 მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირების სწავლა

კომუნიკაციის ეფექტიანი არხები აუცილებელია იმ ფართო სოციალური და ეკონომიკური შედეგების მისაღწევად, რომელთაც ესწრაფვიან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. მონაწილეობა ხელს უწყობს უფრო ეფექტიან სწავლას და უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებას.

2.3.2.3 კუთვნილების გრძნობის წახალისება ადგილობრივ ინსტიტუტებში

მონაწილეობას აქვს „თანდაყოლილი“ ღირებულება. მისასალმებელია, როდესაც ადამიანები აქტიურად არიან ჩართულნი საკუთარ თემში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სრულფასოვანი მოქალაქეობა ნიშნავს აზრის გამოხატვას იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მოქალაქეზე. კარგი მმართველობა ნიშნავს მხოლოდ კარგი შედეგების მიღწევას, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ შედეგების მიღწევის გზაც. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ნებისმიერ დონეზე უნდა ცდილობდნენ მოქალაქეთა აქტიური მხარდაჭერის მოპოვებას მათი პოლიტიკისა და პროგრამების მიმართ (ნაცვლად უსიტყვო თანხმობისა).

იმისათვის, რომ ამ ზოგად პრინციპებზე სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს მიუწვდებოდეს ხელი, ევროპის საბჭომ შეიმუშავა ძირითადი კითხვები წინასწარი თვითშეფასებისთვის. ეს კითხვები უკავშირდება ანალიზის ხუთ განზომილებას, რომლებსაც აღნიშნავს აკრონიმი C.L.E.A.R.:

- **C**an do (უნარის ქონა) - მოქალაქეებს აქვთ მონაწილეობისათვის საჭირო რესურსები, უნარები და ცოდნა;
- **L**ike to (სურვილის ქონა) - მოქალაქეებს აქვთ სიახლოვის/კავშირის განცდა, რაც განამტკიცებს მათ მონაწილეობას;
- **E**nabled to (შესაძლებლობის მიცემა) - მოქალაქეებს აქვთ მონაწილეობის შესაძლებლობა;
- **A**sked to (წახალისება) - ოფიციალური ორგანოები ან მოხალისეობრივი ჯგუფები ხელს უწყობენ მოქალაქეთა ჩართულობას;
- **R**esponded to (რეაგირება) - მოქალაქეები ცხადად ხედავენ, რომ მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია.

C.L.E.A.R.-ის ინსტრუმენტი მოიცავს ძირითად კითხვებს ზემოაღნიშნულ სექციებთან მიმართებით. ამ კითხვებზე პასუხის გაცემით, ხელისუფლების ორგანოები შეძლებენ, შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე თემის ძლიერი და სუსტი მხარეები საჯარო ორგანიზაციის ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობითი პროცესის დასაწყებად და მისი განვითარებისთვის.

2.3.3 სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპები

2016 წელს ევროპის საბჭომ დამატებითი კრიტერიუმები შეიმუშავა, რათა განესაზღვრა ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის მისაღწევად საჭირო სამოქალაქო მონაწილეობა. ამ ძალისხმევის შედეგად, ჩამოყალიბდა სამოქალაქო მონაწილეობის

სახელმძღვანელო პრინციპები (2017)[9], რომლებიც ადგენს მონაწილეობის მთავარ პრინციპებს. იმისათვის, რომ სამოქალაქო ჩართულობა იყოს ეფექტიანი და დადებით გავლენას ახდენდეს ადგილობრივ მმართველობაზე, მას საფუძვლად უნდა ედოს:

1. ყველა აქტორის მიმართ პატივისცემა, როგორც კეთილსინდისიერი ინტერაქციისა და ორმხრივი ნდობის საფუძველი;
2. არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობის პატივისცემა, მაშინაც კი, თუ მათი მოსაზრებები განსხვავდება ხელისუფლების ორგანოთა მოსაზრებებისგან;
3. ხელისუფლების იმ ორგანოთა პოზიციის პატივისცემა, რომელთაც პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ გადაწყვეტილების მიღებაში;
4. ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ მოქალაქეებს უახლესი და ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მონაწილეობის პროცედურებზე;
5. რეაგირება და ადეკვატური უკუკავშირის მიწოდება, რათა სათანადო ინფორმაცია დროულად მიეწოდოს პროცესის ყველა ეტაპზე. ეს ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ეფექტიან ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების ადრეული ეტაპიდანვე;
6. დისკრიმინაციის აკრძალვა და ინკლუზიურობა, რათა მოსმენილი და გათვალისწინებული იყოს ყველას ხმა, მათ შორის, ნაკლებად პრივილეგირებულ და ყველაზე მოწყვლად პირთა პოზიცია, შესაბამისი ადეკვატური საშუალებებისა და არხების გამოყენებით;
7. გენდერული თანასწორობა და ნებისმიერი ინტერესისა და საჭიროების მქონე ჯგუფის თანაბარი მონაწილეობა (მაგ: ახალგაზრდები, ხანდაზმულები, შშმ პირები, უმცირესობები და ა.შ.). კერძოდ, სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მაქსიმალურად ფართო ჩართულობა;
8. მონაწილეობის პროცესის ხელმისაწვდომობა მკაფიო ენისა და სათანადო საშუალებების გამოყენებით, როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ სივრცეში და ნებისმიერ მოწყობილობაზე.

როგორც ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ გამოსახულებაში, მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ტრადიციულად, ორ ძირითად პარადიგმას უკავშირდება:

- ზემოდან ქვემოთ მიდგომა (როდესაც პოლიტიკა მიემართება გადაწყვეტილების მიმღები პირებიდან მოქალაქეებისაკენ), სათათბირო დემოკრატიისა და წარმომადგენლობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- ქვემოდან ზემოთ მიდგომა, რომელიც ასახავს მონაწილეობით დემოკრატიას და გულისხმობს ინდივიდთა პირდაპირ ჩართულობას პოლიტიკის მიმართულებებსა და გადაწყვეტილებებში.

[9] Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making.



გამოსახულება 6 - მოქალაქეთა ჩართულობის პარადიგმები

ეს კონცეფციები ერთმანეთს არც ეწინააღმდეგება და არც გამორიცხავს: ისინი ქმნიან წრიული პროცესის ორ საპირისპირო მხარეს, რომელიც ინიცირებულია მოქალაქეთა მიერ, წარმომადგენლობით (ე.ი. ხმის მიცემით), ან პირდაპირი მონაწილეობით. მართალია, ორივე პერსპექტივა უზრუნველყოფს მოქალაქეთა უკუკავშირს, თუმცა მათი წარმატებული ინტეგრაციის მაგალითები, მომდინარე პირდაპირი მონაწილეობიდან, დამატებით ღირებულებას ქმნის ნდობისა და კუთვნილების განცდის (sence of ownership) ჩამოყალიბებაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოქალაქეთა მონაწილეობას აქვს ორი აუცილებელი მახასიათებელი (Pellizzoni 2008, 93-116):

- მონაწილეობისთვის მზაობა (ინდივიდის შინაგანი თვისება, რომლის ნაკლებობას შეიძლება იწვევდეს არასათანადო ნდობა მონაწილეობისადმი, ან კუთვნილების/მზაობის განცდის ნაკლებობა პირდაპირი ჩართულობის მიმართ);
- მონაწილეობის შესაძლებლობა (ინდივიდის მახასიათებელი გარეგანი თვისება, რომელიც განისაზღვრება ინსტიტუციების მიერ).

ეს ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე ყოველთვის არ არის შესაბამისი დაინტერესებული მხარე, რომელიც „ყველაფრის მიუხედავად“ უნდა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ეფექტიანი სამოქალაქო ჩართულობისთვის, ხელისუფლების ორგანოები უნდა იცნობდნენ თავიანთი თემის დაინტერესებულ მხარეებს და, ამავდროულად, იაზრებდნენ, რომ ყველა დაინტერესებული მხარის ყოველთვის ჩართვა არც სავალდებულოა და არც სასურველი.

მოქალაქეები, სამოქალაქო ორგანიზაციები და ფართო სამოქალაქო საზოგადოება მიეკუთვნებიან იმ რელევანტურ მხარეებს, რომელთანაც თანამშრომლობენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. ისინი დაინტერსებულნი არიან ადგილობრივი მთავრობის საქმიანობით, ასევე, იმ ტერიტორიითა და თემით, რომელშიც ოპერირებს აღნიშნული ორგანო, რადგან ამ მხარეებმა და ხელისუფლებამ შეიძლება დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთის საქმიანობაზე.

3. ინსტრუმენტი

3.1 კონტექსტი

წინა თავზე დაყრდნობით, ნათელია, რომ მონაწილეობა არ არის პრობლემის გადაჭრის უნივერსალური საშუალება. წარმატებული მონაწილეობისთვის არ არსებობს უნივერსალური მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი პროცესისა თუ ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიმართ.

გამჭვირვალობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ნდობის ჩამოყალიბება აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარისთვის (ევროპის საბჭოს მიერ სამოქალაქო მონაწილეობის კუთხით დადგენილი 1 და 3 პრინციპების გათვალისწინებით[10]). ამავდროულად, ეფექტიანი მონაწილეობა გულისხმობს მკაფიო წარმოდგენის ქონას კონტექსტზე, რათა განისაზღვროს თითოეული დაინტერესებული მხარის ჩართულობის პოტენციალი. ამასთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი მოდალობით. მონაწილეობის ფარგლები და მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ საკითხს.[11]

ამ თვალსაზრისით, მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს დაინტერესებულ მხარეთა ზუსტ ანალიზს (რუკაზე განფენას), რათა შეფასდეს თითოეული მათგანის ჩართულობის პოტენციალი (გადაწყვეტილების მიღების მიზნისა და თემის შესაბამისად), ასევე, მათი რესურსები და ინტერესები.

[10] Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making.

[11] *იქვე*

3.2 ოპერაციული კომპონენტები

მონაწილეობითი პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანად გაანალიზებისთვის, სახელისუფლებო ორგანოებს შეუძლიათ წინამდებარე ნაშრომში შემუშავებული ინსტრუმენტის გამოყენება ავტონომიურად, საკუთარ ცოდნასა და თემის აღქმებზე დაყრდნობით. ეს თვითშეფასების ინსტრუმენტი შემუშავებულია C.L.E.A.R.-ის კითხვების საფუძველზე და ქმნის საჯარო დისკურსში მაქსიმალურად ბევრი მოსაზრების გათვალისწინების შესაძლებლობას (სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად).

ინსტრუმენტი ორი ნაწილისგან შედგება:

თემის შეფასება

თემის შეფასების კომპონენტი, რომელიც ეფუძნება C.L.E.A.R.-ის ჩარჩოს. თვითშეფასების ინსტრუმენტის მიზანია კონკრეტული თემისთვის დამახასიათებელ განზომილებათა იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენს მონაწილეობაზე;

დაინტერესებულ მხარეთა შეფასება

თითოეული დაინტერესებული მხარის ანალიზი (რომელიც ეყრდნობა მათ რელევანტურობას საჯარო ხელისუფლებისთვის და მათ მიერ გამოვლენილ ინტერესს მონაწილეობის მიმართ) კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ფარგლებში.

გამოსახულება 7 - ინსტრუმენტის სტრუქტურა

თემის კონტექსტუალიზაცია და დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი ეყრდნობა C.L.E.A.R.-ის[12] ინსტრუმენტს და ქვემოთ წარმოდგენილ მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან განზომილებათა ანალიზს:

- **სოციალური კაპიტალი** --- თემის სოციალური სიცოცხლისუნარიანობა და ინდივიდუალურ დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობა/მზაობა, ჩაერთონ სოციალურ ცხოვრებასა და აქტივობებში;
- **ეკონომიკური კაპიტალი** --- თემის ეკონომიკური სიჯანსაღე, ასევე, თითოეული დაინტერესებული მხარის ეკონომიკური რესურსები/შესაძლებლობა;
- **პოლიტიკური კაპიტალი** --- როგორც ზოგადად თემის, ისე ინდივიდუალურ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- **ადამიანური კაპიტალი** --- როგორც ზოგადად თემის ცოდნა/უნარები, ისე თითოეული დაინტერესებული მხარის კონკრეტული შესაძლებლობები კონკრეტულ თემასთან მიმართებით და კონკრეტულ სფეროში.

[12] Council of Europe, CDLR (2008). C.L.E.A.R. Tool.



გამოსახულება 8 - მონაწილეობისათვის რელევანტური განზომილებები

მექანიზმი პოლიტიკის დამგეგმავ პირებს დაეხმარება იმ რელევანტური ინფორმაციის სისტემატიზაციაში, რომელზე დაყრდნობითაც უნდა შეფასდეს თემის მიდრეკილება მონაწილეობითი პროცესისადმი. მისი მეშვეობით, ასევე შეფასდება განსხვავებული კატეგორიის დაინტერესებულ მხარეთა პოტენციური ჩართულობა სხვადასხვა თემაზე და, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება სტრატეგიები ყველა მათგანის მდგრადი მონაწილეობისათვის, სამოქალაქო ჩართულობის პრინციპების შესაბამისად:[13]

- ორმხრივი პატივისცემისა და ნდობის ხელშეწყობა და წახალისება დაინტერესებულ მხარეებს, მოქალაქეებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის (1 და 3 პრინციპების შესაბამისად);
- არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების ინკლუზიურობა, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება მათი კომპეტენციები და პროცესისადმი ინტერესი, და არა მათი შეხედულებების სიახლოვე ხელისუფლების შეხედულებებთან (მე-2 პრინციპის შესაბამისად);
- დაინტერესებულ მხარეთა ისეთი ჩართულობა, რომლის მონიტორინგიც შესაძლებელია ნებისმიერ ეტაპზე, ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის დასაცავად (მე-4 პრინციპის შესაბამისად);
- სათანადო უკუკავშირისა და კომუნიკაციის სტრატეგიების დანერგვა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის, რათა ყველა მათგანს ჰქონდეს ინფორმაცია ხელმისაწვდომ საშუალებებსა და მოთხოვნებზე (მე-5 პრინციპი);

[13] Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making.

- მონაწილეობის შესაძლო დონეების, მეთოდოლოგიებისა და საშუალებების დადგენა სხვადასხვა კატეგორიისა თუ ინდივიდუალური დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს ყველასთვის, მათ შორის, მოწყვლადი და გამორიცხული კატეგორიებისა და კონკრეტული საკითხებისადმი სპეციალური ინტერესის/საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის (მე-6, მე -7 და მე-8 პრინციპები);

3.3 ადგილობრივი თემის შეფასება

მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანი კონტექსტუალიზაციისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია შეფასდეს შესაბამისი თემის ზოგადი დამოკიდებულება მონაწილეობის მიმართ.

თემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სოციალური ცვლადები (მოსახლეობის საშუალო ასაკი, სამოქალაქო აქტივიზმის დონე, ინფორმაციაზე წვდომა და ა.შ.), ეკონომიკური ცვლადები (საშუალო შემოსავალი, რესურსების დისტრიბუცია, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ.), ადამიანური ცვლადები (უნარები და ცოდნა, რომელსაც ფლობენ და რომლის გამოყენებაც/გაზიარებაც შეუძლიათ თემის წევრებს); და პოლიტიკური ცვლადები (პოლიტიკური ჩართულობა თემში, თემის მონაწილეობის დონე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ა.შ.). ეს ის ოთხი განზომილებაა, რომლებიც უნდა შეაფასონ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა საკუთარ თემში, რათა დაიწყონ არსებული კონტექსტის ანალიზი.

ეფექტიანი მონაწილეობითი პროცესის დასაწყებად, მნიშვნელოვანია, გავიაზროთ მოცემული ცვლადების გავლენა მონაწილეობისადმი სწრაფვაზე.

ქვემოთ განმარტებულია ცვლადები, განზომილებათა შესაბამისად.

3.3.1 სოციალური კაპიტალის ცვლადები

„სოციალური კაპიტალის“ ცვლადებში შედის:

1. „იდენტობასთან“ (C.L.E.A.R.-ის ინსტრუმენტის განმარტების შესაბამისად) დაკავშირებული ცვლადები, ე.ი. თემისადმი მოქალაქეთა კუთვნილების ხარისხი (მოსახლეობის მობილობის დონე, რეალური შესაძლებლობა თემში ყოველდღიური აქტიური მონაწილეობისათვის და კულტურული/ისტორიული იდენტიფიკაცია ამ თემთან):
    - მოსახლეობის წილი, რომელიც ამ ქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად ბოლო 5 წლის განმავლობაში;
    - მოსახლეობის წილი, რომელმაც ბოლო 5 წელიწადში დატოვა ეს ქალაქი და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად;
    - 30-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სხვა ქალაქებში დადიან სამუშაოდ;
    - მოსახლეობის წილი, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს.
2. „დემოგრაფიასთან“ დაკავშირებული ცვლადები (ე.ი. მოსახლეობის ასაკი) და ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა:

- 30 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი (*Eurosta*t-ის განმარტებით, „ახალგაზრდებად“ მიიჩნევიან 30 წლამდე ადამიანები);
- ინტერნეტზე წვდომის მქონე მოსახლეობის წილი.

3. სამოქალაქო ორგანიზაციების არსებობისა და სიცოცხლისუნარიანობის ცვლადები:
    - აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციები;
    - ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების/ასოციაციების აქტივობებში აქტიური მონაწილეობის ვარიაცია

3.3.2 ეკონომიკური კაპიტალის ცვლადები

„ეკონომიკური კაპიტალის“ ცვლადებში შედის:

1. ცვლადები, რომლებიც C.L.E.A.R.-ის „Can do“ (უნარის ქონა) სექციაში განსაზღვრულია „დასაქმების/უმუშევრობის“ შესახებ კითხვების საფუძველზე, კერძოდ, გენდერსა და ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ ასპექტთა ჭრილში, რათა მან მოიცვას სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო მითითებებით (2017) დადგენილი პრინციპებიც;
    - საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით;
    - უმუშევრობის მაჩვენებელი;
    - ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი (30 წლამდე ასაკის პირები);
    - მდედრობითი სქესის სამუშაო ძალა.
2. ცვლადები, რომლებიც C.L.E.A.R.-ის „Can do“ (უნარის ქონა) სექციაში განსაზღვრულია „სოციალური კლასისა“ და „რესურსების“ შესახებ კითხვების საფუძველზე:
    - პოტენციურად რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები;
    - აბსოლუტურ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები;
    - თვითდასაქმებული ქალები;
    - 30 წლამდე ასაკის თვითდასაქმებულები.

3.3.3 ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ცვლადები

„ადამიანური კაპიტალის“ ცვლადებში შედის:

1. საგანმანათლებლო მიღწევების ცვლადები:
    - 18-დან 63 წლამდე ასაკის ადამიანები მოსახლეობაში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ, სულ მცირე, საშუალო სკოლა;
    - 18-დან 60 წლამდე ასაკის ქალები მოსახლეობაში, რომელთაც დამთავრებული აქვთ, სულ მცირე, საშუალო სკოლა.

2. მოქალაქეთა უნარების/ცოდნის ცვლადები და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი რესურსები შესაძლებლობათა განსავითარებლად:
    - ბოლო 15 წლის განმავლობაში სამოქალაქო განათლების საგნის არსებობა სკოლის სავალდებულო სასწავლო პროგრამაში;

- პროფესიონალიზმი;
- ციფრული კომპეტენციების მქონე მოსახლეობა;
- მოხალისეობრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული მოსახლეობა;
- უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა არსებობა;
- უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა.

3.3.4 პოლიტიკური კაპიტალის ცვლადები

„პოლიტიკური კაპიტალის“ ცვლადები ეყრდნობა „ნდობისა“ და „მოქალაქეობის“ შესახებ კითხვებს C.L.E.A.R.-ის „Like to“ (სურვილის ქონა) სექციაში:

- ელექტორატი, რომელმაც ხმა მისცა ადგილობრივი თვითმართველობის ბოლო არჩევნებში;
- პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსახლეობის წილი;
- პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების წილი;
- პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული უმცირესობათა წარმომადგენლების წილი;
- ადგილობრივი საკრებულოს წევრი ქალები;
- მოქალაქეთა აქტიურობა საჯარო პოლიტიკურ დებატებში/ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით;
- მოწყვლადი ჯგუფების ინტერესთა წარმომადგენლობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- მოქალაქეთა ჩართულობის დონე მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების არსებულ პროცესებში.

ამ ინსტრუმენტით ადგილობრივი თემის შეფასებისას, სახელმწიფო ორგანოებმა თითოეული ცვლადის შემთხვევაში უნდა განსაზღვრონ გავლენა მონაწილეობისადმი სწრაფვაზე:

- უაღრესად დადებითი;
- დადებითი;
- უარყოფითი;
- უაღრესად უარყოფითი.

ან მიუთითოს, თუ ცვლადს არ აქვს გავლენა თემში მონაწილეობის დონეზე.

გთხოვთ, შეაფასოთ, რა გავლენას ახდენს ქვემოთ წარმოდგენილი ცვლადები მოსახლეობის მონაწილეობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შესაბამისი გრაფაში მონიშნოთ „x“ (თითოეული პუნქტი/ცვლადი შეაფასეთ „უაღრესად უარყოფითიდან“ „უაღრესად დადებითამდე“).

თემი:	მიუთითეთ დასახელება

	განზომილებები	უარესად ურჩევდი	ურჩევდი	არ არის რელევანტური	დადებითი	უფრესად დადებითი	ქულა თითოეულ განზომილებაში
	(1) სოციალური კაპიტალი						0.5
1	მოსახლეობის წილი, რომელიც ამ ქალაქში საცხოვრებლად გადმოვიდა ბოლო 5 წლის განმავლობაში						
2	მოსახლეობის წილი, რომელმაც ბოლო 5 წელიწადში დატოვა ეს ქალაქი და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად						
3	30-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სხვა ქალაქებში/სოფლებში დადიან სამუშაოდ						
4	მოსახლეობის წილი, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს						
5	30 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი						
6	ინტერნეტზე წვდომის მქონე მოსახლეობის წილი						
7	აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციები						
8	ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციების/ასოციაციების აქტივობებში აქტიური მონაწილეობის ვარიაცია						
	(2) ეკონომიკური კაპიტალი						0.5
9	საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით						
10	უმუშევრობის მაჩვენებელი						
11	ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი (30 წლამდე ასაკის პირები)						
12	მდედრობითი სქესის სამუშაო ძალა						
13	პოტენციურად რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები						
14	აბსოლუტურ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები						
15	თვითდასაქმებული ქალები						
16	30 წლამდე ასაკის თვითდასაქმებულები						
	(3) ადამიანური კაპიტალი						0.5
17	18-დან 63 წლამდე ასაკის ადამიანები მოსახლეობაში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა;						
18	18-დან 60 წლამდე ასაკის ქალები მოსახლეობაში, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა;						
19	ბოლო 15 წლის განმავლობაში სამოქალაქო განათლების საგნის არსებობა სკოლის სავალდებულო სასწავლო პროგრამაში						
20	პროფესიონალიზმი						
21	ციფრული კომპეტენციების მქონე მოსახლეობა						
22	მოხალისეობრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული მოსახლეობა						
23	უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა არსებობა						
24	უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა						
	(4) პოლიტიკური კაპიტალი						0.5
25	ელექტორატი, რომელმაც ხმა მისცა ბოლო არჩევნებში						
26	პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსახლეობის წილი						
27	პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების წილი						
28	პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული უმცირესობათა წამომადგენლების წილი						
29	ადგილობრივი საკრებულოს წევრი ქალები						

30	მოქალაქეთა აქტიურობა საჯარო პოლიტიკურ დებატებში/ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით						
31	მოწყვლადი ჯგუფების ინტერესთა წარმომადგენლობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში						
32	მოქალაქეთა ჩართულობის დონე მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების არსებულ პროცესებში						

თემის შეფასება

გამოსახულება 9 – ინსტრუმენტში „ადგილობრივი თემის შეფასების“ გვერდი

„ადგილობრივი თემის შეფასების“ ფორმის შევსებისას, არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები. მმართველობის თითოეულმა ორგანომ თავად უნდა განმარტოს საკუთარი მონაცემები იმ უნიკალური და სპეციფიკური გავლენის შესაბამისად, რომელიც აღნიშნულ ელემენტებს აქვთ მონაწილეობის წახალისებასა ან შეზღუდვაზე. ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითები თითოეულ განზომილებასთან მიმართებით, რათა უფრო ნათელი გახდეს, თუ როგორ შეიძლება განსხვავებულად შეავსონ „თემის შეფასების“ ფორმა იმ სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებიც ერთნაირ თემებს წარმოადგენენ.

3.3.5 სოციალური კაპიტალის განზომილება

სამოქალაქო ორგანიზაციების მაღალი რაოდენობა შეიძლება აფერხებდეს ჩართულობას, ვინაიდან ხშირად მათ მონოპოლიზებული აქვთ მონაწილეობითი ფორუმები, რაც გამორიცხავს სხვების ჩართულობას. ზოგ თემში იმავე ფაქტორს შეიძლება არანაირი გავლენა არ ჰქონდეს მოქალაქეთა მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამრიგად, მსგავსი ობიექტური მონაცემების შემთხვევაში (არასამთავრობო ორგანიზაციების მაღალი კონცენტრაცია), ორი სხვადასხვა თემის წარმომადგენლები შესაძლოა მიიჩნევდნენ, რომ ერთი და იგივე ცვლადი „უაღრესად უარყოფით“ გავლენას ახდენს მონაწილეობაზე (1), ან არ არის რელევანტური ამ კონტექსტში (2).

	(1) სოციალური კაპიტალი						0.5
1	მოსახლეობის წილი, რომელიც ამ ქალაქში საცხოვრებლად გადმოვიდა ბოლო 5 წლის განმავლობაში						
2	მოსახლეობის წილი, რომელმაც ბოლო 5 წელიწადში დატოვა ეს ქალაქი და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად						
3	30-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სხვა ქალაქებში/სოფლებში დადიან სამუშაოდ						
4	მოსახლეობის წილი, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს						
5	30 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი						
6	ინტერნეტზე წვდომის მქონე მოსახლეობის წილი						
7	აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციები						
8	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების/ასოციაციების აქტივობებში აქტიური მონაწილეობის ვარიაცია						

ცხრილი 1 – სოციალური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში

3.3.6 ეკონომიკური კაპიტალის განზომილება

ერთ თემში უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს შესაძლოა „უაღრესად დადებითი“ გავლენა ჰქონდეს მოსახლეობის მიდრეკილებაზე ჩართულობისკენ, რადგან ეს პრობლემა შეიძლება ასტიმულირებს იდეების გაზიარებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას; მეორე თემში კი იგივე საკითხი შეიძლება ხელს უშლიდეს ჩართულობას, იმის გამო, რომ ადამიანები, რომელთაც სამუშაო ადგილები დაკარგეს, აღარ ენდობიან სახელმწიფო ორგანოებს. ამრიგად, მეორე თემის მმართველ ორგანოთა წარმომადგენლები შეიძლება მიიჩნევდნენ, რომ უმუშევრობა „უარყოფით“ ან „უაღრესად უარყოფით“ გავლენას ახდენს მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი პროცენტულად პირველი თემის მაჩვენებელის ტოლია.

	(2) ეკონომიკური კაპიტალი						0.5
9	საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით						
10	უმუშევრობის მაჩვენებელი						
11	ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი (30 წლამდე ასაკის პირები)						
12	მდედრობითი სქესის სამუშაო ძალა						
13	პოტენციურად რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები						
14	აბსოლუტურ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები						
15	თვითდასაქმებული ქალები						
16	30 წლამდე ასაკის თვითდასაქმებულები						

ცხრილი 2 - ეკონომიკური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში

3.3.7 ადამიანური კაპიტალის განზომილება

ერთ ადგილობრივ თემში უნარებისა და კომპეტენციების მაღალი დონე შესაძლოა „დადებით“ ან „უაღრესად დადებით“ გავლენას ახდენდეს მონაწილეობაზე, მეორე თემისთვის კი ეს ელემენტი „არ იყოს რელევანტური“ იმის გამო, კომპეტენციების მაღალ დონეს არანაირი გავლენა არ აქვს მოქალაქეთა სურვილზე, უფრო აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

	(3) ადამიანური კაპიტალი						0.5
17	25-დან 63 წლამდე ასაკის ადამიანები მოსახლეობაში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა						
18	18-დან 64 წლამდე ასაკის ქალები მოსახლეობაში, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა;						
19	ბოლო 15 წლის განმავლობაში სამოქალაქო განათლების საგნის არსებობა სკოლის სავალდებულო სასწავლო პროგრამაში						
20	პროფესიონალიზმი						
21	ციფრული კომპეტენციების მქონე მოსახლეობა						
22	მოხალისეობრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული მოსახლეობა						
23	უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა არსებობა						
24	უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა						

ცხრილი 3 - ადამიანური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში

3.3.8 პოლიტიკური კაპიტალის განზომილება

სავსებით შესაძლებელია, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალ მაჩვენებელს „უაღრესად დადებითი“ გავლენა ჰქონდეს მოსახლეობის პირდაპირ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგივე მაჩვენებელი სხვა თემში შეიძლება აბრკოლებდეს მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას: კერძოდ, ხელისუფლების ორგანოებისადმი მაღალი ნდობის გამო, მოქალაქეები საჭიროდ არ მიიჩნევდნენ უშუალო მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

	(4) პოლიტიკური კაპიტალი						0.5
25	ელექტორატი, რომელმაც ხმა მისცა ბოლო არჩევნებში						
26	პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსახლეობის წილი						
27	პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების წილი						
28	პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული უმცირესობათა წარმომადგენლების წილი						
29	ადგილობრივი საკრებულოს წევრი ქალები						
30	მოქალაქეთა აქტიურობა საჯარო პოლიტიკურ დებატებში/ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით						
31	მოწყვლადი ჯგუფების ინტერესთა წარმომადგენლობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში						
32	მოქალაქეთა ჩართულობის დონე მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების არსებულ პროცესებში						

ცხრილი 4 - პოლიტიკური კაპიტალის შეფასება „სათემო შეფასების“ ფორმაში

„თემის შეფასების“ ცხრილს ავსებს სახელმწიფო ორგანო. შეფასების დასრულების შემდეგ, ინსტრუმენტი თითოეულ განზომილებას (სოციალური, ეკონომიკური, ადამიანური და პოლიტიკური) შესაბამის ქულას ანიჭებს 0-დან 1-მდე (სადაც 0 აღნიშნავს „უაღრესად უარყოფითს“, ხოლო 1 - „უაღრესად დადებითს“).



გამოსახულება 10 – „თემის შეფასების“ შეჯამება, რომელიც ასახავს თითოეული განზომილების შემთხვევაში მინიჭებულ ქულებს

განზომილებები, სადაც მაღალი ქულა დაფიქსირდა, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მონაწილეობაზე. ინსტრუმენტი გადაამუშავებს ამ მონაცემებს და თითოეულ განზომილებას მიანიჭებს „შეწონილ მნიშვნელობას“ - როგორც წარმოდგენილია მომდევნო ქვეთავში „დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და შეფასება“.

შედეგად, თითოეული განზომილების კონტექსტზე დაფუძნებული რელევანტურობა აისახება თითოეული დაინტერესებული მხარისათვის.

3.4 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და შეფასება

ჩართულობისადმი თემის მიდრეკილების შემდგომ, შეფასდება თითოეული გამოვლენილი დაინტერესებული მხარე. ეს პროცესი შედგება 2 ეტაპისგან:

- დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და სისტემატიზაცია მონაცემთა ბაზაში;
- თითოეული დაინტერესებული მხარის შესაძლებლობებისა და მზაობის შეფასება ჩართულობის კუთხით.

3.4.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია

პროცესის პირველი ნაბიჯია დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. როგორც წესი, დაინტერესებული მხარეები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:

3.4.1.1 ინსტიტუციური აქტორები

- ადგილობრივი (მუნიციპალიტეტები, მუნიციპალური სააგენტოები, ქალაქები, მეტროპოლიტენური ქალაქები და ა.შ.) და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები (რეგიონები, რაიონები, თემები და ა.შ.) ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებისთვის;
- ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ან ეროვნული სააგენტოები (სახელმწიფო უწყებები, სამინისტროები და ა.შ.) გადაწყვეტილების მიღების ისეთი პროცესებისთვის, რომლებიც მოითხოვს კონსულტაციას ცენტრალურ დონეზე;
- საერთაშორისო დაწესებულებები (EGTC, Euroregions, ა.შ.) გადაწყვეტილების მიღების ისეთი პროცესებისთვის, რომლებსაც გავლენა აქვთ ტრანსნაციონალურ დონეზე.

3.4.1.2 სამოქალაქო საზოგადოება

- ახალგაზრდული ასოციაციები
- ქალთა ასოციაციები
- ასოციაციები, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობათა ჯგუფების ინტერესებს
- ასოციაციები, რომლებიც წარმოადგენენ მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებს
- მოხალისეობრივი ასოციაციები
- ცნობიერების ასამაღლებელი ასოციაციები
- მომხმარებელთა ასოციაციები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- პროფესიული კავშირები

3.4.1.2 კერძო აქტორები

- სავაჭრო ასოციაციები (სავაჭრო პალატა და ა.შ.)
- პროფესიული კავშირები
- კერძო ინვესტორები (ფონდები და ა.შ.)
- მეწარმეები

ჩამონათვალი არ მოიცავს ინდივიდუალურ მოქალაქეებს, ვინაიდან მათი გამოვლენა და ანალიზი არ არის ადვილი. თუმცა, მოქალაქეებს წარმომადგენლობას უწევენ მათივე არჩეული პირები (დემოკრატიული წარმომადგენლობის მეშვეობით) და სამოქალაქო ორგანიზაციები. შესაბამისად, აუცილებელია მათი ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რათა, მოტივაციის შემთხვევაში, შეძლონ მასში ჩართვა.

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის პროცესი მიუთითებს ყველა იმ აქტორის იდენტიფიცირებაზე, რომლებიც სხვადასხვა დონეზე (პოლიტიკური, სამოქალაქო ან ეკონომიკური) წარმოადგენენ ფართო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენისას უაღრესად მნიშვნელოვანია წარმომადგენლობის გაწევა მრავალფეროვანი კატეგორიებისთვის.

ამის შემდეგ, ხდება თითოეულ კატეგორიაში გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეთა სისტემატიზაცია მონაცემთა ბაზაში: კერძოდ, მიეთითება მხარის სახელწოდება, მისი საქმიანობის ძირითადი სფერო, საკონტაქტო პირი, მის ძირითად კომპეტენციასთან ერთად, და საკონტაქტო ინფორმაცია (როგორც წარმოდგენილია ქვემოთ):

დაწესებულების/ასოციაციის /კერძო ორგანიზაციის დასახელება	საქმიანობის ძირითადი სფეროები	საკონტაქტო პირის ვინაობა და როლი	საკონტაქტო პირის ძირითადი კომპეტენციები	საკონტაქტო ინფორმაცია (ელფოსტა-ტელეფონი)
დაინტერესებული მხარე 1				
დაინტერესებული მხარე 2				
დაინტერესებული მხარე ...				

ცხრილი 5 - დაინტერესებულ მხარეთა მონაცემთა ბაზის სისტემატიზაციის მაგალითი

საფუძვლიანი კლასიფიკაცია ტიპოლოგიის მიხედვით ხელს შეუწყობს სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდას და დაინტერესებულ მხარეთა წინასწარ შერჩევას - ე.ი. მაქსიმალურად ბევრი დაინტერესებული მხარის განსაზღვრას თითოეული იდენტიფიცირებულ კატეგორიასა და ინტერესის საკითხთან მიმართებით.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სისტემატური მიდგომის დანერგვას, მონაწილეობითი პროცესის დაწყებისას ასეთ მხარეთა რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ოცდაათს და წარმოდგენილი იყოს ფართო სპექტრით. მაგალითად, ეკონომიკურ აქტორთა შემთხვევაში, მიზანშეწონილია სავაჭრო პალატებისა და პროფესიული ასოციაციების ჩართვა, ვინაიდან ისინი კონკრეტული კატეგორიების წარმომადგენლები არიან. აუცილებელი არ არის ასოციაციის ყველა წევრის ჩართვა, რადგან ამ შემთხვევაში იარსებებს რომელიმე მათგანის გამოტოვების რისკი, რაც საფრთხეს შეუქმნის ეფექტიან ინკლუზიას. გარდა

ამისა, დემოკრატიული წარმომადგენლობის პრინციპის თანახმად, მაგალითად, სავაჭრო პალატის წარმომადგენელი უფლებამოსილია, წარმომადგენლობა გაუწიოს ამ სფეროში მომუშავე ყველა მეწარმის ინტერესებსა და საჭიროებებს. საპირისპიროდ, თუ პროცესში მხოლოდ სამი მეწარმეა ჩართული, ისინი მხოლოდ საკუთარ საჭიროებებზე გაამახვილებენ ყურადღებას.

3.4.2 დაინტერესებულ მხარეთა შეფასება

მომდევნო ნაბიჯია თითოეული იდენტიფიცირებული მხარის შეფასება, რა დროსაც გასათვალისწინებელია მათი პოტენციური წვლილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შესაძლო ინტერესი, რომ ჩაერთოს კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში. დაინტერესებულ მხარეთა ინდივიდუალურ შეფასებას წინ უსწრებს მათი ზოგადი შეფასება.

შეფასების განზომილებები ისეთივეა, რაც „ადგილობრივი თემის შეფასების“ შემთხვევაში. ამავდროულად, ცვლადები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- **რელევანტურობის** ცვლადები;
- **ინტერესის** ცვლადები.

3.4.2.1 რელევანტურობის ცვლადები

კონკრეტული თემის გათვალისწინებით, გთხოვთ, დაინტერესებული მხარე შეაფასოთ თითოეულ პუნქტთან მიმართებით (უაღრესად უარყოფითიდან უაღრესად დადებითამდე) და შესაბამის გრაფაში მონიშნოთ „x“.

	დაინტერესებული მხარე	*მიუთითეთ დასახელება*					
	განზომილებები	უაღრესად უარყოფითი	უარყოფითი	არ არის რელევანტური	დადებითი	უაღრესად დადებითი	ქულა თითოეულ განზომილებაში
	(1) სოციალური კაპიტალი						0.5
1	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ჩართოს სხვა დაინტერესებული მხარეები						**შეწონილი მნიშვნელობა**
2	კონკრეტული კატეგორიის აქტორთა წარმომადგენლობითი დონე (მრავალი სხვა მოქალაქის ინტერესების წარმოდგენა)						**0.3**
3	დაინტერესებული მხარის მონაწილეობის დონე ადგილობრივ სამოქალაქო აქტივობებში						
4	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, დაიწყოს ცვლილების განხორციელება/გავლენა იქონიოს მასზე						
5	მოქალაქეთა მიერ დაინტერესებული მხარის აღიარების დონე						
	(2) ეკონომიკური კაპიტალი						0.5

6	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, შეასრულოს დონორის ფუნქცია						**შეწონილი მნიშვნელობა**
7	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე						**0.3**
8	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს წვდომას არსებულ ან დამატებით (გარე) რესურსებზე						
9	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა არამატერიალური მხარდაჭერის გასაწევად						
10	დაინტერესებული მხარის გავლენა შრომის ბაზარზე						
	(3) ადამიანური კაპიტალი						0.5
11	დაინტერესებული მხარის ცოდნა/უნარები კონკრეტულ თემასთან მიმართებით						**შეწონილი მნიშვნელობა**
12	დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობა კონკრეტულ თემაზე						**0.3**
13	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ჩაერთოს საზოგადოებრივ დებატებში						
14	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, კომუნიკაცია დაამყაროს სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენებით						
15	დაინტერესებული მხარის ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე [14]						
	(4) პოლიტიკური კაპიტალი						0.5
16	ადგილობრივი ადმინისტრაციის ნდობა დაინტერესებული მხარის მიმართ						**შეწონილი მნიშვნელობა**
17	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ჩართოს სხვა პოლიტიკური აქტორები						**0.3**
18	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ითანამშრომლოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან/სხვა დაინტერესებულ მხარეებთან						
19	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ აზრზე						
20	დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობა პოლიტიკის საკითხებზე						

რელევანტურობის ქულა 0,3

გამოსახულება 11 - „დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და შეფასების“ გვერდის რელევანტურობის სექცია

ეს ცვლადები განსაზღვრავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რომ დაინტერესებული მხარე ემხრობოდეს მის გადაწყვეტილებას. საკითხი გაანალიზდება იმ ოთხ განზომილებაზე დაყრდნობით, რომლებიც გამოიყენება თემის შეფასებისას. „ადგილობრივი თემის შეფასების“ მსგავსად, საჯარო ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც იყენებს ინსტრუმენტს თითოეული დაინტერესებული მხარის რელევანტურობის შესაფასებლად. კერძოდ, მან თითოეულ ცვლადთან მიმართებით უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის გავლენა ექნება დაინტერესებულ მხარეს მოცემულ პროცესზე:

- უაღრესად დადებითი;
- დადებითი;
- უარყოფითი;
- უაღრესად უარყოფითი.

[14] *მაგ. 1: დაინტერესებული მხარის ხელმისაწვდომობა, რომ დაჯავშნოს შშმ პირებისათვის ადაპტირებული სივრცე; მაგ. 2: დაინტერესებული მხარის ხელმისაწვდომობა, მიიღოს ნებართვა ღონისძიების საჯარო სკვერში ორგანიზებისთვის, და სხვა).

„ადგილობრივი თემის შეფასების“ მსგავსად, დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი მოიცავს ოთხი განზომილებას:

1. **სოციალური კაპიტალი:** ფოკუსირებულია თითოეული დაინტერესებული მხარის კავშირებსა და კონტაქტების ქსელზე (ე.ი. დაინტერესებული მხარის შესაძლებლობაზე, სხვა დაინტერესებულ მხარეებს დაუკავშირდეს, როგორც სანდო წყაროს). სოციალური კაპიტალი მოიცავს თითოეული დაინტერესებული მხარის აღიარებასაც შესაბამის თემში (ე.ი. ნათელია, რომ დაინტერესებული მხარე მოქმედებს კონკრეტული კატეგორიის სახელით?). წინამდებარე ანალიზის მიზნებისთვის, ასევე, C.L.E.A.R.-ის ჩარჩოსა და სამოქალაქო მონაწილეობის 8 სახელმძღვანელო პრინციპზე დაყრდნობით, ეს განზომილება ფორმულირებულია კონკრეტული ცვლადების საფუძველზე, ისე, როგორც წარმოდგენილია „დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და შეფასების“ ცხრილში:

	(1) სოციალური კაპიტალი						0.5
1	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ჩართოს სხვა დაინტერესებული მხარეები						**შეწონილი მნიშვნელობა**
2	კონკრეტული კატეგორიის აქტორთა წარმომადგენლობითი დონე (მრავალი სხვა მოქალაქის ინტერესების წარმოდგენა)						**0.3**
3	დაინტერესებული მხარის მონაწილეობის დონე ადგილობრივ სამოქალაქო აქტივობებში						
4	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, დაიწყოს ცვლილების განხორციელება/გავლენა იქონიოს მასზე						
5	მოქალაქეთა მიერ დაინტერესებული მხარის აღიარების დონე						

ცხრილი 6 - სოციალური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში

ამრიგად, თუ კონკრეტულ თემასთან მიმართებით, დაინტერესებული მხარე აღიქმება მყარი კავშირების მქონე ან უაღრესად სანდო აქტორად, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მისი გავლენის შესაძლებლობა შეფასდება, როგორც „უაღრესად დადებითი“. მეორე მხრივ, მხარე, რომელიც არ მონაწილეობს და არასოდეს ყოფილა ჩართული ცნობიერების ასამაღლებელ ან საკომუნიკაციო აქტივობებში, „არარელევანტურად“ მიიჩნევა კონკრეტულ ცვლადებთან მიმართებით; მეტიც, ჩაითვლება, რომ მას „უაღრესად უარყოფითი“ გავლენის მოხდენა შეუძლია პროცესზე, რაც განპირობებულია მისი უაღრესად დაბალი აღიარებით მოსახლეობაში.

2. ეკონომიკური კაპიტალი: ფოკუსირებულია დაინტერესებული მხარის შესაძლებლობაზე, ეკონომიკური წვლილი შეიტანოს პროცესში, როგორც დონორმა ან რესურსების მულტიპლიკატორმა, ანდა აქტორმა შრომის ბაზარზე. წინამდებარე ანალიზის მიზნებისთვის, ასევე, C.L.E.A.R.-ის ჩარჩოზე დაყრდნობით, ეს განზომილება ფორმულირებულია კონკრეტული ცვლადების საფუძველზე, ისე, როგორც წარმოდგენილია „დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და შეფასების“ ცხრილში:

	(2) ეკონომიკური კაპიტალი						0.5

6	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, შეასრულოს დონორის ფუნქცია						**შეწონილი მნიშვნელობა**
7	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე						**0.3**
8	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს წვდომას არსებულ გარე რესურსებზე						
9	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა არამატერიალური მხარდაჭერის გასაწევად						
10	დაინტერესებული მხარის გავლენა შრომის ბაზარზე						

ცხრილი 7 - ეკონომიკური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში

თუ დაინტერესებული მხარე მაღალი გავლენის მქონედ მიიჩნევა შრომის ბაზარზე, ამან შეიძლება „უაღრესად დადებითად“ იმოქმედოს პროცესზე, როცა დასაქმება მთავარი ფაქტორია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ამავე დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა შრომის ბაზარზე ზეგავლენის კუთხით შესაძლოა „არარელევანტურად“ ჩაითვალოს კონკრეტული ანალიზის ფარგლებში, თუ გადაწყვეტილების მიღება არ ეხება დასაქმების/უმუშევრობის საკითხებს.

3. ადამიანური კაპიტალი: ფოკუსირებულია იმ უნარებსა და ცოდნაზე, რომლებსაც იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები ფლობენ კონკრეტულ პროცესზე კონკრეტულ სფეროში. ეს განზომილება მოიცავს დაინტერესებული მხარის შესაძლებლობასაც, ეფექტიანად გააზიაროს თავისი ცოდნა/უნარები, რომლებიც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ თემს. ამ განზომილების შეფასება ეფუძნება ქვემოთ მოცემული თითოეული ცვლადის შეფასებას, როგორც წარმოდგენილია ინსტრუმენტში:

	(3) ადამიანური კაპიტალი						0.5
11	დაინტერესებული მხარის ცოდნა/უნარები კონკრეტულ თემასთან მიმართებით						**შეწონილი მნიშვნელობა**
12	დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობა კონკრეტულ თემაზე						**0.3**
13	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ჩაერთოს საზოგადოებრივ დებატებში						
14	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, კომუნიკაცია დაამყაროს სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენებით						
15	დაინტერესებული მხარის ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე						

ცხრილი 8 - ადამიანური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში

დაინტერესებული მხარე, რომელიც საკითხზე ცოდნის/ინფორმირებულობის გამო „უაღრესად დადებით“ გავლენას ახდენს პროცესზე, შესაძლოა შეფასდეს, როგორც „უაღრესად უარყოფითი“ გავლენის მქონე საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობაზე. ადამიანური კაპიტალის განზომილებაში ამ დაინტერესებული მხარის საშუალო ქულა განისაზღვრება თითოეული ცვლადისთვის მინიჭებული ქულების ჯამით, რომლებიც შეწონილია „ადგილობრივი თემის შეფასების“ ფარგლებში ამ განზომილებისთვის განსაზღვრული მნიშვნელობის შესაბამისად.

4. პოლიტიკური კაპიტალი: აფასებს საჯარო ხელისუფლების ნდობას კონკრეტული დაინტერესებული მხარის მიმართ, ისევე, როგორც დაინტერესებული მხარის შესაძლებლობას, ჰქონდეს პოლიტიკური პოზიცია კონკრეტულ თემასთან მიმართებით. ნდობის პრინციპის საფუძველზე, რომელსაც განსაზღვრავს C.L.E.A.R., ეს განზომილება მოიცავს შემდეგ ცვლადებს:

	(4) პოლიტიკური კაპიტალი						0.5
16	ადგილობრივი ადმინისტრაციის ნდობა დაინტერესებული მხარის მიმართ						**შეწონილი მნიშვნელობა**
17	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, უზრუნველყოს სხვა პოლიტიკურ აქტორთა ჩართულობა						**0.3**
18	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, ითანამშრომლოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან/სხვა დაინტერესებულ მხარეებთან						
19	დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ აზრზე						
20	დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობა პოლიტიკის საკითხებზე						

ცხრილი 9 - პოლიტიკური კაპიტალის მახასიათებლები რელევანტურობის შეფასების ცხრილში

დაინტერესებული მხარის პოლიტიკური რელევანტურობა, როგორც წესი, მნიშვნელოვანია პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპზე, ან გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ეტაპებზე. პროცესში, რომლის მიზანია სხვა პოლიტიკურ აქტორებთან თანამშრომლობა კონსენსუსის მისაღწევად, „უაღრესად დადებითად“ ფასდება დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა ასეთი კავშირების დასამყარებლად. უკუკავშირის მიღებისა და შესწორებების ეტაპზე სხვა პოლიტიკურ აქტორთა ჩართულობა შეიძლება არ იყოს იმდენად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, დაინტერესებული მხარის ეს შესაძლებლობა აღნიშნულ ეტაპზე შესაძლოა „არარელევანტურად“ ჩაითვალოს. ამრიგად, თითოეული დაინტერესებული მხარის შეფასება დამოკიდებულია მის რელევანტურობაზე არა მხოლოდ კონკრეტულ თემასთან მიმართებით, არამედ პროცესის კონკრეტული ეტაპისთვისაც.

3.4.2.2 ინტერესის ცვლადები

	განზომილებები	უაღრესად უარყოფითი	უარყოფითი	არ არის რელევანტური	დადებითი	უაღრესად დადებითი	ქულა ითვალისწინებს განზომილებებში
	(1) სოციალური კაპიტალი						0.5
1	დაინტერესებული მხარის ინტერესი, დაამყაროს კონტაქტები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით						**შეწონილი მნიშვნელობა**
2	დაინტერესებული მხარის ინტერესი, უზრუნველყოს კონკრეტული კატეგორიის აქტორთა წარმომადგენლობა თემასთან მიმართებით						**0.3**

3	დაინტერესებული მხარის ინტერესი, ჩაერთოს ადგილობრივ სამოქალაქო აქტივობებში თემასთან მიმართებით						
4	დაინტერესებული მხარის ინტერესი, დაიწყოს ცვლილების განხორციელება/გავლენა იქონიოს მასზე						
5	დაინტერესებული მხარის ინტერესი, გაზარდოს მისი აღიარება მოქალაქეთა მხრიდან						
	(2) ეკონომიკური კაპიტალი						0.5
6	დაინტერესებული მხარის პოტენციური ეკონომიკური სარგებელი						**შეწონილი მნიშვნელობა**
7	დაინტერესებული მხარის სურვილი, თავი მოუყაროს რესურსებს						**0.3**
8	დაინტერესებული მხარის სურვილი, ხელი შეუწყოს წვდომას არსებულ ან დამატებით(გარე) რესურსებზე						
9	დაინტერესებული მხარის მზაობა არამატერიალური მხარდაჭერის გასაწევად						
10	დაინტერესებული მხარის ინტერესი, გაზარდოს თავისი გავლენა შრომის ბაზარზე						
	(3) ადამიანური კაპიტალი						0.5
11	დაინტერესებული მხარის ინტერესი, გააზიაროს/გაუმჯობესოს თავისი ცოდნა/უნარები კონკრეტულ თემასთან მიმართებით						**შეწონილი მნიშვნელობა**
12	დაინტერესებული მხარის სურვილი გააზიაროს/გაზარდოს საკუთარი ინფორმირებულობა კონკრეტულ თემაზე						**0.3**
13	დაინტერესებული მხარის სურვილი, ჩაერთოს საზოგადოებრივ დებატებში						
14	დაინტერესებული მხარის სურვილი, კომუნიკაცია დაამყაროს სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენებით						
15	დაინტერესებული მხარის სურვილი, ჰქონდეს წვდომა საჯარო სივრცეებზე						
	(4) პოლიტიკური კაპიტალი						0.5
16	დაინტერესებული მხარის ნდობა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიმართ						**შეწონილი მნიშვნელობა**
17	დაინტერესებული მხარის პოლიტიკური ინტერესი კონკრეტული თემის მიმართ						**0.3**
18	დაინტერესებული მხარის სურვილი, ითანამშრომლოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან						
19	დაინტერესებული მხარის ინტერესი, ხმა მიაწვდინოს/მოიცვას ფართო საზოგადოება						
20	დაინტერესებული მხარის სურვილი, გააზიაროს/გაზარდოს თავისი ინფორმირებულობა პოლიტიკის საკითხებზე						

ინტერესის ქულა 0,3

გამოსახულება 12 - „დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და შეფასების“ გვერდის ინტერესის სექცია

ეს ცვლადები განსაზღვრავს დაინტერესებული მხარის მზაობას, ეფექტიანად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები გადაწყვეტილების მიღების კონკრეტულ პროცესში. საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც ამ ინსტრუმენტის მეშვეობით აფასებენ თითოეული დაინტერესებული მხარის პოტენციურ ინტერესს, თითოეული ცვლადის შემთხვევაში უნდა განსაზღვრონ მხარის მზაობა, ჩაერთოს პროცესში და მასზე მოახდინოს შემდეგი სახის გავლენა:

- უაღრესად დადებითი;
- დადებითი;
- უარყოფითი;

- ან უაღრესად უარყოფითი გავლენა.

ანალიზის ოთხი განზომილება ასახავს „რელევანტურობის“ შესაფასებლად იდენტიფიცირებულ განზომილებებს. თუმცა, რელევანტურობის განზომილებებში მინიჭებული მაღალი ქულა ავტომატურად არ ნიშნავს მაღალ შეფასებას ინტერესის განზომილებებშიც. როგორც აღწერილია 4.2 სექციაში („მონაწილეობის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები“), მნიშვნელოვანია, დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს ინტერესი, რომელიც გაამყარებს მის ქმედებებს. სფეროებში, სადაც ინტერესი ძალიან მაღალია, მაგრამ კომპეტენციების/შესაძლებლობების დონე (ე.ი. რელევანტურობა) დაბალი ქულით შეფასდა, საჭირო იქნება შესაძლებლობათა გასაუმჯობესებელი სტრატეგიების გამოყენება, რათა პროცესში ჩაერთონ მაღალი ინტერესისა და მზაობის მქონე მხარეები, თავიდან აიცილონ იმედგაცრუება და გაუმჯობესდეს ორმხრივი ნდობა:

ინტერესის შემთხვევაში, თითოეული განზომილების მიხედვით იდენტიფიცირებულია შემდეგი ცვლადები:

1. სოციალური კაპიტალი: აფასებს დაინტერესებული მხარის პოტენციურ მზაობას, რომ გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები პროცესში ჩასართავად. ინსტრუმენტში წარმოდგენილი ცვლადები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

	(1) სოციალური კაპიტალი						0.5
1	დაინტერესებული მხარის ინტერესი, დაამყაროს კონტაქტები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით						**შეწონილი მნიშვნელობა**
2	დაინტერესებული მხარის ინტერესი, უზრუნველყოს კონკრეტული კატეგორიის აქტორთა წარმომადგენლობა თემასთან მიმართებით						**0.3**
3	დაინტერესებული მხარის ინტერესი, ჩაერთოს ადგილობრივ სამოქალაქო აქტივობებში თემასთან მიმართებით						
4	დაინტერესებული მხარის ინტერესი, დაიწყოს ცვლილების განხორციელება/გავლენა იქონიოს მასზე						
5	დაინტერესებული მხარის ინტერესი, გაზარდოს მისი აღიარება მოქალაქეთა მხრიდან						

ცხრილი 10 - სოციალური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში

2. ეკონომიკური კაპიტალის განზომილება: აფასებს თითოეული დაინტერესებული მხარის ეკონომიკურ ინტერესს პროცესში მონაწილეობის კუთხით. ეკონომიკურად ნაკლებად ძლიერი მხარეები შესაძლოა უაღრესად დაინტერესებულნი იყვნენ მონაწილეობით, რათა, მაგალითად, მეტი გავლენა მოიპოვონ შრომის ბაზარზე. საჯარო ორგანოს მიერ ეკონომიკური კაპიტალის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ საკითხებს: დაინტერესებული მხარის მიერ აღქმული სარგებელი, რომელსაც მიიღებს ჩართულობით; და ცოდნა კონკრეტული კატეგორიის დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების/საკითხების შესახებ. ეკონომიკური კაპიტალის განზომილების ცვლადები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

	(2) ეკონომიკური კაპიტალი						0.5

6	დაინტერესებული მხარის პოტენციური ეკონომიკური სარგებელი						**შეწონილი მნიშვნელობა**
7	დაინტერესებული მხარის სურვილი, თავი მოუყაროს რესურსებს						**0.3**
8	დაინტერესებული მხარის სურვილი, ხელი შეუწყოს წვდომას არსებულ ან დამატებით (გარე) რესურსებზე						
9	დაინტერესებული მხარის მზაობა არამატერიალური მხარდაჭერის გასაწევად						
10	დაინტერესებული მხარის ინტერესი, გაზარდოს თავისი გავლენა შრომის ბაზარზე						

ცხრილი 11 - ეკონომიკური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში

3. ადამიანური კაპიტალი: მსგავსად ეკონომიკური განზომილებისა, იგი (თუ არ ჩავთვლით დაინტერესებული მხარის მზაობას ექსპერტული ცოდნის გასაზიარებლად) უკავშირდება სარგებელს (მაგ: უნარების/ცოდნის მოპოვება), რომელსაც დაინტერესებული მხარე მიიღებს პროცესში მონაწილეობით. აღნიშნული საკითხის გააზრება სასარგებლოა იმ პოტენციურ საშუალებათა გამოსავლენად, რომლებიც წაახალისებს უაღრესად რელევანტურ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას.

	(3) ადამიანური კაპიტალი						0.5
11	დაინტერესებული მხარის ინტერესი, გააზიაროს/გაუმჯობესოს თავისი ცოდნა/უნარები თემასთან მიმართებით						**შეწონილი მნიშვნელობა**
12	დაინტერესებული მხარის სურვილი, გააზიაროს/გაზარდოს საკუთარი ინფორმირებულობა თემაზე						**0.3**
13	დაინტერესებული მხარის სურვილი, ჩაერთოს საზოგადოებრივ დებატებში						
14	დაინტერესებული მხარის სურვილი, განახორციელოს კომუნიკაცია სხვადასხვა მედია საშუალებების გამოყენებით						
15	დაინტერესებული მხარის სურვილი, ჰქონდეს წვდომა საჯარო სივრცეებზე						

ცხრილი 12 - ადამიანური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში

4. პოლიტიკური კაპიტალი: მოიცავს დაინტერესებული მხარის ნდობის შეფასებას საჯარო ხელისუფლების მიმართ. აღნიშნული ასევე უკავშირდება დაინტერესებული მხარის სურვილს, გააზიაროს საკუთარი ცოდნა და კონტაქტები, ან გაიუმჯობესოს პოლიტიკური ცნობიერება და ინფორმირებულობა. ამ შემთხვევაში, მხარის მზაობას საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ნდობის დონე. თუ ნდობა დაბალია, საჭიროა ძლიერი წამახალისებელი სისტემა, რომ დაინტერესებული მხარეები ჩაერთონ პოლიტიკურ დონეზე.

	(4) პოლიტიკური კაპიტალი						0.5
16	დაინტერესებული მხარის ნდობა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიმართ						**შეწონილი მნიშვნელობა**
17	დაინტერესებული მხარის პოლიტიკური ინტერესი კონკრეტული თემის მიმართ						**0.3**
18	დაინტერესებული მხარის სურვილი, ითანამშრომლოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან						

19	დაინტერესებული მხარის ინტერესი, ხმა მიაწვდინოს/მოიცვას ფართო საზოგადოება						
20	დაინტერესებული მხარის სურვილი, გააზიაროს/გაუმჯობესოს საკუთარი ინფორმირებულობა პოლიტიკის საკითხებზე						

ცხრილი 13 - პოლიტიკური კაპიტალის ცვლადები ინტერესის შეფასების ცხრილში

როდესაც დაინტერსებულ მხარეს თითოეულ ცვლადთან მიმართებით აფასებს არჩეული სახელისუფლებო ორგანო (როგორც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ხელშემწყობი უწყება), თავისი ცოდნისა და აღქმის შესაბამისად, განზომილების საერთო ქულები ავტომატურად შეიწონება. ამის მიზანია, აისახოს იმ განზომილების რელევანტურობა, რომელიც „ადგილობრივი თემის შეფასებისას“ ყველაზე შესაბამისად ჩაითვალა. ამრიგად, თითოეული დაინტერესებული მხარის შეფასებისას გათვალისწინებულია არა მხოლოდ მისი შესაძლებლობები და მზაობა ჩართულობისადმი, არამედ ის კონტექსტიც, რომელშიც მხარე უნდა ჩაერთოს.



გამოსახულება 13 - დაინტერესებული მხარეების დიაგრამა ინსტრუმენტში

ამრიგად, „დაინტერესებულ მხარეთა“ შეფასებისას მხარეს ენიჭება 2 სხვადასხვა ქულა 0-დან 1-მდე (რელევანტურობის და ინტერესის). ინსტრუმენტს ავტომატურად გადააქვს ეს ქულები დიაგრამაზე, რომელიც 4 კვადრატად იყოფა (იხ. გამოსახულება ქვემოთ). თითოეული კვადრატი ასახავს დაინტერესებულ მხარეთა პოტენციური ჩართულობის სხვადასხვა დონეს.



გამოსახულება 14 - დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის ტაქსონომია

ეს დიაგრამა (ტაქსონომია) შექმნილია ორი განზომილების კვეთის მიხედვით:

- დაინტერესებული მხარის ინტერესი (ხელისუფლების ორგანოს აღქმით, რომელიც ხელს უწყობს მონაწილეობით პროცესს) კონკრეტული თემის მიმართ (ჰორიზონტალური ღერძი x);
- დაინტერესებული მხარის ფუნქციურობა (ხელისუფლების ორგანოს აღქმით) კონკრეტული თემის მიმართ (ვერტიკალური ღერძი y).

აღნიშნულზე დაყრდნობით, დიაგრამით ვლინდება ჩართულობის ოთხი ტიპი და სხვადასხვა დონე (ვიწყებთ დიაგრამის ქვედა ნაწილიდან და მივყვებით ჰორიზონტალურად):

ჩართულობის ტიპი	ჩართულობის ცვლადი დონე
ინფორმაცია	↓ *დაინტერესებული მხარის* დაბალი ინტერესი
	↓ აღქმული დაბალი რელევანტურობა
კონსულტაცია	↑ *დაინტერესებული მხარის* მაღალი ინტერესი
	↓ აღქმული დაბალი რელევანტურობა
დიალოგი	↓ *დაინტერესებული მხარის* დაბალი ინტერესი
	↑ აღქმული მაღალი რელევანტურობა
პარტნიორობა	↑ *დაინტერესებული მხარის* მაღალი ინტერესი
	↑ აღქმული მაღალი რელევანტურობა

წყვეტილი ხაზი „ინსტიტუციური მონაწილეობა“, რომელიც ოთხი კვადრატის გასაყარზე გადის, ასახავს სავალდებულო მონაწილეობის დონეს და, შესაბამისად, უძრავია, ფუნქციურობის აღქმულ პარამეტრებსა ან ინტერესის დონესთან შედარებით. კერძოდ, იგი ასახავს იმ ტიპის ინსტიტუციურ აქტორებს, რომელთა ჩართვაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში (კანონის ან ინსტიტუციური მოწყობის შესაბამისად), მიუხედავად იმისა, რა ინტერესი აქვთ კონკრეტული თემის მიმართ, ან რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პროცესში (ხელისუფლების აზრით).

4. სტრატეგიები

ვინაიდან ინსტრუმენტს დიაგრამაზე გადააქვს დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის შედეგები (ოთხი კვადრატიდან ერთ-ერთში ან ამ კვადრატთა კვეთაზე), მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, თუ რას აღნიშნავს მონაწილეობის თითოეული დონე (ე.ი. თითოეული კვადრატი) და რა ქმედებები უნდა განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე, რომ მონაწილეობის პროცესი ეფექტიანად წარიმართოს და მასში ჩაერთოს დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურად ფართო სპექტრი.

4.1 მონაწილეობის სტრატეგიები

გადაწყვეტილების მიღების პროცესი შედგება ექვსი ეტაპისგან:[15]

- პრიორიტეტების დადგენა, ე.ი. კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრა, საჭიროებათა შეფასებაზე დაყრდნობით;
- გადაწყვეტილების მომზადება, ე. ი. პოლიტიკის/სტრატეგიის სამუშაო ვერსიის მომზადება, საჭიროებათა შეფასებაზე დაყრდნობით;
- გადაწყვეტილების მიღება, ე. ი. პოლიტიკის/სტრატეგიის განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების პრაქტიკაში განხორციელება;
- მონიტორინგი ე.ი. დაკვირვება განხორციელების ეტაპზე და მის გავლენაზე სამიზნე ჯგუფებთან მიმართებით;
- შესწორებების შეტანა, ე.ი. მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

დიაგრამაზე დატანილი დაინტერესებული მხარეების შემთხვევაში, მონაწილეობის პროცესის განსაზღვრა შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპისთვის. რა თქმა უნდა, მონაწილეობის სტრატეგიები და ქმედებები განსხვავდება თითოეული კვადრატის მიხედვით. წინამდებარე სექციაში კვადრატების ამოცანები განხილულია გადაწყვეტილების მიღების თითოეული ეტაპისთვის. გარდა ამისა, შემოთავაზებულია განხორციელების სტრატეგიები და პოტენციური მეთოდოლოგიები, თითოეულ კვადრატში დატანილ დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანად ჩასართავად.

[15] ISIG. (2015). European experience of citizens' participation in cross-border governance, Council of Europe: Strasbourg. Available at https://rm.coe.int/1680686b1b (ბოლოს ნანახია 2017 წლის თებერვალში), გვ.12-13.

4.1.1 კვადრატი 1 - ინფორმაცია

ამ კვადრატში მოხვედრილი დაინტერესებული მხარეები აღიქმებიან, როგორც *დაბალი ინტერესისა* და *დაბალი რელევანტურობის* მქონე აქტორები კონკრეტულ თემასთან მიმართებით. უაღრესად მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინფორმაცია მიეწოდოს ყველას, ევროპის საბჭოს სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპების (2017), კერძოდ, ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად. ღია მონაცემთა მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე რელევანტური ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიო და ადვილად გასაგები ენით, ასევე, სათანადო და მისაწვდომი ფორმატით (როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ სივრცეებში), ყოველგვარი არასათანადო ადმინისტრაციული ბარიერების გარეშე და, არსებითად, უფასოდ. ეს ვრცელდება ყველაზე - შეფასების შედეგად ამ კვადრატში მოხვედრილ დაინტერესებულ მხარეებზეც და ფართო საზოგადოებაზეც.

უფრო კონკრეტულად, გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- პრიორიტეტების დადგენა: ცოდნის გაზიარება და ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტიზაციის მიზნით გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე, მონაწილე აქტორებსა და ძირითად განსახილველ საკითხებზე;
- გადაწყვეტილების მომზადება: გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ე.ი. ყველა რელევანტური და საჯარო დოკუმენტის (ანუ რომლებიც არ არის დაშიფრული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე) ხელმისაწვდომობა კონსულტაციისთვის;
- გადაწყვეტილების მიღება: მიღებულ გადაწყვეტილებაზე ინფორმაციის სწრაფად მიწოდება;
- განხორციელება: ყველა პროცედურის გამჭვირვალედ მართვა;
- მონიტორინგი: გამოყენებული ინდიკატორებისა და კრიტერიუმების გამჭვირვალობა და ხელისუფლების ორგანოსთვის საშუალების მიცემა, მიაწოდოს უკუკავშირი საჭირო გაუმჯობესებებზე;
- შესწორებების შეტანა: ყველას უნდა ჰქონდეს უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა და დეტალურად განიმარტოს, თუ რა სახით გაითვალისწინა ხელისუფლების ორგანომ უკუკავშირი და ექსპერტთა შეფასებები ახალი პოლიტიკის განსაზღვრისას.

რაც შეეხება ღიაობისა და გამჭვირვალობის ვალდებულებას ფართო საზოგადოების წინაშე, მის შესასრულებლად არსებობს სხვადასხვა გზა.

C.L.E.A.R.-ის[16] ინსტრუმენტის თანახმად, სამოქალაქო ჩართულობის პრინციპების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

- შეხვედრების გასაჯაროება;
- დღის წესრიგების, ანგარიშებისა და სხვა რელევანტური მასალების

[16] C.L.E.A.R. Tool Final version [CDLR(2008)42], გვ. 20.

გამოქვეყნება ონლაინ სივრცეში, საჯარო ხელისუფლების ორგანოს ვებგვერდზე ან სოციალურ მედიაში;

- პოსტერებისა და ბროშურების მომზადება და თემის თავშეყრის ადგილებში გავრცელება, რათა ინფორმაცია მიეწოდოთ იმ ადამიანებსაც, რომელთაც არ აქვთ ან შეზღუდულად აქვთ წვდომა ინტერნეტზე, ანდა არ ფლობენ ციფრულ კომპეტენციებს;
- დოკუმენტებისა და ინფორმაციის მომზადება საჯარო ღონისძიებების შესახებ, როგორც ოფიციალურ, ისე ადგილობრივ უმცირესობათა ენებზე, რათა ეს ინფორმაცია მაქსიმალურად ფართოდ გავრცელდეს.

რაც შეეხება მხარეებს, რომლებიც „დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და შეფასების“ შედეგად „ინფორმაციის“ კვადრატში მოხვდნენ, მიზანშეწონილია კონკრეტული საინფორმაციო სტრატეგიების გამოყენება, როგორიცაა:

- განახლებული ინფორმაციის მიწოდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიმდინარე განვითარებებზე (კერძოდ, საინფორმაციო ბიულეტენის საშუალებით, რომელიც გაეგზავნებათ ელექტრონული ან ჩვეულებრივი ფოსტით);
- დაინტერესებულ მხარეთა მიწვევა პრეზენტაციებზე დასასწრებად;
- ინფორმაციის მომზადება კონკრეტული თემის სხვადასხვა ასპექტზე, დაინტერესებულ მხარეთა კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით.

4.1.2 კვადრატი 2 - კონსულტაცია

ამ კვადრატში მოხვედრილი დაინტერესებული მხარეები აღიქმებიან, როგორც *მაღალი ინტერესისა და დაბალი რელევანტურობის მქონე* აქტორები კონკრეტულ თემასთან მიმართებით. კონსულტაციის საშუალებით დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა პროცესში საჯარო ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას აძლევს, რომ მათი მოსაზრებები შეაგროვონ გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

კერძოდ, ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- პრიორიტეტების დადგენა: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა საჭიროების შეფასების პროცედურაში, რათა თავი მოეყაროს მათ ცოდნასა და შეხედულებებს კონკრეტულ თემაზე;
- გადაწყვეტილების მომზადება: პროცესში იმ ინფორმაციის ჩართვა, რომელიც დაინტერსებულ მხარეებისგან მიღებულია პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპზე ჩატარებული საჭიროებათა შეფასებით;
- გადაწყვეტილების მიღება: დაინტერესებულ მხარეებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ წარადგინონ უკუკავშირი და მიიღონ შესაბამისი პასუხები/განმარტებები;
- განხორციელება: დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ განხორციელების პროცესი, წარადგინონ

საპირისპირო მოსაზრებები და დასვან დამაზუსტებელი კითხვები გამოყენებულ მეთოდოლოგიებსა და პროცედურებთან მიმართებით;

- მონიტორინგი: დაინტერესებულ მხარეებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ უკუკავშირი წარადგინონ განხორციელების პროცედურაზე, შესაბამის ორგანოებს გაუზიარონ საკუთარი იდეები, შესთავაზონ ცვლილებები და გამოკვეთონ დაბრკოლებები;
- შესწორებების შეტანა: დაინტერესებულ მხარეთაგან მონიტორინგის ეტაპზე მიღებული მოსაზრებების გათვალისწინება პოლიტიკის ხელახლა განსაზღვრის პროცესში, მისი გაუმჯობესების მიზნით. ხელახლა განსაზღვრის პროცესში.

ქვემოთ წარმოდგენილი ინსტრუმენტები ხელს უწყობს „კონსულტაციის" სტრატეგიის განხორციელებას:

- ონლაინკითხვარის გამოყენება დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებსა და უკუკავშირზე ინფორმაციის მისაღებად;
- შესაძლებლობების შექმნა მონაცემთა ონლაინ სივრცის გარეთ შესაგროვებლად, იმ აქტორებისთვის, რომელთაც არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა ან ციფრული კომპეტენციები (მაგ: საჭიროებების შეფასების კითხვარისა და უკუკავშირის ფორმების მატერიალური სახით დარიგება საჯარო შეკრების ადგილებზე);
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებსა და შესაძლებლობებზე (მატერიალურ და ციფრულ ფორმატში), საინფორმაციო ბიულეტენის გაგზავნით ელექტრონული ან ჩვეულებრივი ფოსტით;
- დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზება, მონაცემების/უკუკავშირის პირდაპირ მისაღებად.

მონაცემთა შესაგროვებლად გამართული შეხვედრებისთვის, წინამდებარე სექცია განიხილავს ორი მეთოდოლოგიის გამოყენების შესაძლებლობას, ესენია: *გონებრივი იერიში* (brainstorming) და *მსოფლიო კაფე.*

4.1.2.1 გონებრივი იერიში (brainstorming)

კრეატიული ჯგუფური ტექნიკა, რომლის მიზანია იდეებისა და მოსაზრებების სტიმულირება კონკრეტული თემის გარშემო. როგორც წესი, გამოიყენება მონაწილეობითი პროცესის დასაწყისში, რათა შესაძლებელი იყოს განსხვავებული იდეებისა და შეხედულებების თავმოყრა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

გონებრივი იერიში საკმაოდ კარგად მუშაობს 15-წევრიან ჯგუფებში. უფრო დიდი ჯგუფების შემთხვევაში, რეკომენდებულია მისი დაყოფა შედარებით პატარა სამუშაო ჯგუფებად (ეფექტიანი ფასილიტაციის მიზნით).

გონებრივი იერიშისას სამუშაო ატმოსფერო არაფორმალურია, რაც ხელს უწყობს კრეატიულ აზროვნებას. ფართო, განათებულ ოთახში მონაწილეები თავს კომფორტულად გრძნობენ. მიზანშეწონილია, ჯგუფური სამუშაო ჩატარდეს მრგვალი

მაგიდის გარშემო (ე.ი. როდესაც არავინ ზის მაგიდის თავში და ფიზიკურად ყველა თანაბარ დონეზე იმყოფება).

შესაძლებელია, მონაწილეები იდგნენ კიდეც (გონებრივი იერიშის სესიები მოკლეა, მაქსიმუმ 20 წუთი გრძელდება) და მუშაობდნენ ცარიელ კედელზე განთავსებული პოსტერის ირგვლივ.

ორგანიზატორებმა თითოეულ მონაწილეს უნდა მისცენ ფერადი წებოვანი ფურცლების შეკვრა და შავი მარკერი. გონებრივი იერიში მიმდინარეობს შემდეგი პროცედურებით:

1. თითოეულ სამუშაო ჯგუფში ფასილიტატორი მონაწილეებს სთხოვს, წებოვან ფურცლებზე ჩამოწერონ თავიანთი იდეები (საჭიროებები, აღქმები, პრობლემები და ა.შ.) განსახილველ თემასთან მიმართებით. მონაწილეები მუშაობენ სიჩუმეში, კალმის ნაცვლად იყენებენ მარკერს (რათა წებოვან ფურცელზე განთავსებული ინფორმაცია ყველასთვის თვალსაჩინო იყოს) და 1 იდეის/კონცეფციისთვის იყენებენ 1 ფურცელს. ინდივიდუალური მუშაობა 5 წუთი გრძელდება სიჩუმეში.
2. ფასილიტატორი ყველა მონაწილეს სთხოვს, თავიანთი ფურცლები განათავსონ კედელზე, ან სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ქაღალდზე, შემდეგ კი იმუშაონ სიჩუმეში და ფურცლები ისე გადააადგილონ, რომ შეიქმნას კლასტერები - ე.ი. ერთი თემით დაკავშირებული ფურცლების ჯგუფები. თუ მონაწილე მიიჩნევს, რომ მისი ფურცელი სხვა ადგილას უნდა განთავსდეს, შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ გადააადგილოს, განმარტების გარეშე. ეს ეტაპი 5 წუთი გრძელდება და სრულდება ფურცლების გადაადგილებისთანავე. შედეგად, კედელზე გამოჩნდება ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული კლასტერები. ფასილიტატორი ჯგუფს სთხოვს, ერთად იმუშაონ, თითოეული კლასტერი დაასათაურონ და გამოავლინონ თემატური სფეროები.
3. კლასტერების დასათაურებისას, ფასილიტატორი მოდერაციას უწევს დებატებს, რომლის მიზანია კლასტეთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა (რომელია ყველაზე რელევანტური თემა (კლასტერი) კონკრეტულ საკითხთან მიმართებით). ეს ეტაპი გრძელდება 5-დან 10 წუთამდე, რის შემდეგაც გონებრივი იერიშის სესია სრულდება.

თუ მონაწილეები რამდენიმე ჯგუფად მუშაობენ, რეკომენდებულია საბოლოო პლენარული სესიის გამართვა, რომლის დროსაც თითოეული ჯგუფი გააკეთებს პრეზენტაციას შესრულებულ სამუშაოსა და შედეგებზე. ფასილიტატორს შეუძლია, მოდერირება გაუწიოს დებატებს მონაწილეთა შორის.

ამ პროცესის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია და მონაცემები სახელისუფლებო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში - როგორც პრიორიტეტების დადგენის, ისე განხორციელებისა და შესწორებების შეტანის ეტაპებზე.

ფასილიტატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პროცესის წარმატებისთვის, გონებრივი იერიშის პირველ და მეორე ეტაპებზე უაღრესად მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა იმუშაონ სიჩუმეში. ეს თითოეულ მათგანს მისცემს შესაძლებლობას, რომ საკუთარი იდეა სხვებს წერილობით გაუზიაროს და დაინახოს, თუ როგორ ინტეგრირდება იგი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. თუ გონებრივი იერიში ტარდება ღია დებატების ფორმით, მაღალია რისკი, რომ უფრო ქარიზამტული და უნარიანი მონაწილეები არ მისცემენ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობას შედარებით ჩუმ ან ინტროვერტ მონაწილეებს. ვინაიდან გონებრივი იერიშის მიზანია მაქსიმალურად ბევრი იდეის გენერირება, ასეთი ჯგუფური დინამიკით დომინანტურ პოზიციაში მოექცევიან ყველაზე ექსტროვერტი მონაწილეები და პროცესის ეფექტიანობა შეფერხდება: კერძოდ, გენერირდება მხოლოდ რამდენიმე იდეა და შეიზღუდება მრავალფეროვან შეხედულებათა გამოხატვის შესაძლებლობა. ამრიგად, ფასილიტატორი გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ პროცესში: სწორედ მან უნდა უზრუნველყოს, რომ მონაწილეები მუშაობდნენ სიჩუმეში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, და ყველას ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

4.1.2.2 მსოფლიო კაფე

ამ მეთოდის მიზანია არაფორმალური საუბრების წახალისება სხვადასხვა მხარეს შორის, საერთო ინტერესებში შემავალ საკითხებზე, რაც ეფექტიანი შესაძლებლობაა იდეების მიმოცვლისათვის. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მონაწილეობითი პროცესის დასაწყისში, ან მეორე შეხვედრაზე, მას შემდეგ, რაც მონაცემები შეგროვდება გონებრივი იერიშის საშუალებით.

მსოფლიო კაფეს მეთოდი ეფექტიანად გამოიყენება დიდი ზომის ჯგუფებში, სადაც 15-100 ადამიანია. დაინტერესებული მხარეები სამუშაო მაგიდების გარშემო სხდებიან და იმართება დებატები, ერთდროულად 5-10 ადამიანის მონაწილეობით.

სამუშაო ატმოსფერო არაფორმალურია და, ფაქტობრივად, შეესაბამება კაფეში არსებულ გარემოს, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან და სხვადასხვა საკითხს განიხილავენ. როგორც გონებრივი იერიშის შემთხვევაში, აქაც რეკომენდებულია ფართო და ნათელი ოთახი, რომელიც აღჭურვილია მრგვალი მაგიდებით. თითოეულ მაგიდასთან განთავსდება 5-8 მონაწილე. არაფორმალური დებატების წასახალისებლად, მიზანშეწონილია, მაგიდაზე იყოს წყალი, ყავა და ჩაი (ჭიქებთან ერთად), რომელსაც მონაწილეები მუშაობისას მიირთმევენ.

ორგანიზატორებმა თითოეულ მაგიდაზე უნდა დააწყონ მარკერები და წებოვანი ფერადი ფურცლები, ასევე, განათავსონ პოსტერი. ამასთან, თითოეულ სამუშაო მაგიდასთან საჭიროა ფასილიტატორიც, რომელიც მოდერაციას გაუწევს დებატებს.

პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

1. მოსამზადებელ ეტაპზე ორგანიზატორებმა მონაწილეებისათვის უნდა მოიფიქრონ სამი კითხვა კონკრეტული თემის გარშემო. რეკომენდებულია, მათ

მონაწილეებს სთხოვონ, რომ განსაზღვრონ თემასთან დაკავშირებული პრობლემები, პოტენციური რესურსები ამ პრობლემათა გადასაჭრელად და დამატებითი ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად.

2. მსოფლიო კაფეში მონაწილეები უნდა დასხდნენ ოთახში განთავსებულ მაგიდებთან (თითოეულ მაგიდასთან 5-10 ადამიანი). ფასილიტატორი თითოეულ მაგიდასთან მიესალმება მონაწილეებს და მოდერაციას გაუწევს დებატებს. მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე დაჯდება (იდეალური იქნება, თუ თითოეულ მაგიდასთან დასხდებიან განსხვავებული კატეგორიის დაინტერესებული მხარეები), ფასილიტატორი მონაწილეებს გააცნობს პირველ კითხვას. 20 წუთის განმავლობაში ყველა მაგიდასთან მიმდინარეობს დისკუსია ერთი და იმავე კითხვის გარშემო. დისკუსიის დროს გაჟღერებულ მნიშვნელოვან საკითხებს ფასილიტატორი ინიშნავს წებოვან ფურცლებზე, ან პოსტერზე.
3. პირველი სესიის დასასრულს, ყველა მაგიდა ერთდროულად წყვეტს მუშაობას. მაგიდასთან რჩება ფასილიტატორი და ჯგუფის მომხსენებელი („მეხსიერება“), დანარჩენი მონაწილეები კი სხვა მაგიდებთან გადანაწილდებიან.
4. მას შემდეგ, რაც ყველა დაჯდება, იწყება მეორე ოცწუთიანი სესია. სესიას ხსნის ჯგუფის მომხსენებელი, რომელიც ახალ წევრებს გააცნობს პირველ კითხვაზე გამართული დისკუსიის შედეგებს. ამის შემდეგ, ფასილიტატორი მონაწილეებს აცნობს მეორე სამუშაო კითხვას და სთხოვს დისკუსიის გამართვას პირველი სესიის შედეგებზე დაყრდნობით.
5. მეორე სესიის დასასრულს მეორდება იგივე პროცედურა. ასე ხდება თითოეულ სამუშაო კითხვასთან მიმართებით. შესაბამისად, მონაწილეები მაგიდებს იცვლიან იმდენჯერ, რამდენი კითხვაც იქნება.

დასასრულს, ფასილიტატორი ყველა ჯგუფის მომხსენებელს ერთ მაგიდასთან მიიწვევს, რათა მათ დანარჩენ მონაწილეებს წარუდგინონ თითოეული კითხვის გარშემო გამართული დისკუსიის შედეგები. ამის შემდეგ, ფასილიტატორს შეუძლია, დებატებს მოდერირება გაუწიოს პლენარულ სესიაზე.

ამ პროცესის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მონაცემები გამოყენებული უნდა იყოს გონებრივი იერიშისას გენერირებულ იდეათა გასაუმჯობესებლად და, რაც მთავარია, გადაწყვეტილების მიღებისას. კერძოდ, ხელისუფლების შესაბამისმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების ინტეგრირება, საჭიროებათა განსაზღვრის (პრიორიტეტების დადგენისას), ან უკუკავშირის (მონიტორინგის ან შესწორებების ეტაპზე) ფორმით.

ფასილიტატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მსოფლიო კაფეში ისინი უფრო აქტიურ როლს ასრულებენ, ვიდრე გონებრივი იერიშის დროს. მეტიც, გონებრივი იერიშის დროს ხმათა დაბალანსება გარანტირებულია სიჩუმით და წებოვან ფურცლებზე წერის შესაძლებლობით, ხოლო მსოფლიო კაფეს შემთხვევაში ეს როლი ენიჭება ფასილიტატორს. ფასილიტატორმა უნდა დაიცვას ჯგუფური დინამიკა

„ძალაუფლებითი თამაშებისგან“ და დარწმუნდეს, რომ ყველას აქვს თავისუფლად საუბრის შესაძლებლობა. ფასილიტატორმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური კონცენტრაცია და ძალისხმევა, თუმცა, ამავდროულად, იმოქმედოს მშვიდად, რათა მონაწილეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი. ამრიგად, რეკომენდებულია, პროცესს უძღვებოდეს პროფესიონალი ფასილიტატორი, რომელიც შეძლებს მონაწილეობითი ღონისძიების წარმატებული შედეგის მიღწევას.

4.1.3 კვადრატი 3 - დიალოგი

ამ კვადრატში მოხვედრილი დაინტერესებული მხარეები აღიქმებიან, როგორც *დაბალი ინტერესისა და მაღალი რელევანტურობის მქონე* აქტორები თემასთან მიმართებით. დიალოგის მეთოდის გამოყენებით, ხელისუფლების ორგანოები შეძლებენ დაინტერესებულ მხარეთა კომპეტენციებით სარგებლობას, ასევე, მუდმივი უკუკავშირის უზრუნველყოფას მათი ინტერესის გასაზრდელად და ჩართულობის შესანარჩუნებლად. დიალოგი განსხვავდება კონსულტაციისგან, ვინაიდან მოიცავს მუდმივ ორმხრივ კომუნიკაციას ხელისუფლებასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. კონსულტაციის კვადრატში ჩართულობის სურვილი, ძირითადად, მომდინარეობს დაინტერესებულ მხარეთაგან, პროცესის ორგანიზატორები კი მათ აძლევენ მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობას. დიალოგის კვადრატში კი პირიქით - ძირითადად, ხელისუფლებას სჭირდება დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობებისა და კომპეტენციების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, ეს მეთოდი ქმნის ორმხრივი დიალოგის წახალისების საშუალებასა და შესაძლებლობას.

უფრო კონკრეტულად, გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- პრიორიტეტების დადგენა: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა პრიორიტეტების განსაზღვრაში, განსახილველ თემაზე მათი ცოდნისა და/ან გავლენის გათვალისწინებით;
- გადაწყვეტილების მომზადება: სხვადასხვა მხარის ჩართვა სტრატეგიის/პოლიტიკის სამუშაო ვერსიის გადახედვის პროცესში;
- გადაწყვეტილების მიღება: დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერა მიღებული გადაწყვეტილებისა და მის განსახორციელებლად განსაზღვრული ნაბიჯების მიმართ;
- განხორციელება: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა განსახორციელებელ ქმედებებში, სამოქალაქო საზოგადოებასა და ეკონომიკურ სექტორში მათი როლისა და კომპეტენციების მიხედვით;
- მონიტორინგი: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა განხორციელების პროცესისა და პროცედურების ეტაპებზე/მეთოდოლოგიებზე უკუკავშირის მოთხოვნით;
- შესწორებების შეტანა: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა პოლიტიკის გადახედვის პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციები პოლიტიკის გაუმჯობესების შესახებ.

„დიალოგის“ სტრატეგიის განხორციელებას შეიძლება ხელს უწყობდეს შემდეგი ინსტრუმენტები:

- დაინტერესებულ მხარეებთან სიღრმისეული ინტერვიუების ორგანიზება;
- დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზება, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის პირდაპირ გაცვლას, მონაცემთა შეგროვებას და, საჭიროების შემთხვევაში, მათ განმარტებას. ამ მეთოდოლოგიის მაგალითი წარმოდგენილია მომდევნო პუნქტში.

4.1.3.1 ფოკუსჯგუფები

მონაწილეობითი შეხვედრის ეს მეთოდოლოგია იძლევა კონკრეტულ საკითხზე სიღრმისეული მონაცემების შეგროვებისა და განხილვის შესაძლებლობას. მისი გამოყენება არ არის რეკომენდებული გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, როგორიცაა პრიორიტეტების დადგენა (ამ შემთხვევაში, უმჯობესია მსოფლიო კაფეს მეთოდოლოგიის გამოყენება), თუმცა შეიძლება ეფექტიანი იყოს პოლიტიკის მომზადებისას, ან შესწორებების შეტანის ეტაპზე.

ფოკუსჯგუფის შეხვედრები ეფექტიანად გამოიყენება 10-15 მონაწილესთან, რა შემთხვევაშიც იძლევა თემის სიღრმისეულად გაანალიზების შესაძლებლობას. ფოკუსჯგუფის ატმოსფერო უაღრესად პროფესიონალურია.

ამავდროულად, იმისათვის, რომ მონაწილეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი, მნიშვნელოვანია, იმყოფებოდნენ ნათელ ოთახში. მონაწილეები უნდა დასხდნენ მაგიდის გარშემო და განიხილონ კონკრეტული თემა. დამხმარე მასალებად იყენებენ ფურცლებს, მარკერებსა და პოსტერებს, თუმცა ფოკუსჯგუფის დისკუსიას, ძირითადად, ხელს უწყობს ფასილიტატორი, რომელიც სპეციალურ დაფაზე - ფლიპჩარტზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს. ეს დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ ფოკუსირდნენ განსახილველ თემაზე და ყურადღება არ გადაიტანონ ჩანაწერების გაკეთებაზე. მიზანშეწონილია, ფასილიტატორის ჩანაწერებზე დაყრდნობით, ერთმა ადამიანმა მოამზადოს შეხვედრის ოქმი.

ფოკუსჯგუფის შეხვედრა შესაძლოა 1-2 საათი გაგრძელდეს, რადგან მონაწილეები სიღრმისეულად განიხილავენ იდეებსა და წარმოდგენილ წინადადებებს.

ფოკუსჯგუფი წარიმართება შემდეგი პროცედურების შესაბამისად:

1. რეკომენდებულია, ორგანიზატორებმა შეხვედრამდე მოამზადონ მიმართულების მიმცემი კითხვები კონკრეტული თემის სპეციფიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს დაინტერესებულ მხარეთა ექსპერტულ ცოდნასა და ხედვებს;
2. ფოკუსჯგუფში დებატებს წარმართავს ფასილიტატორი: იგი თითოეულ მონაწილეს სთხოვს, წარმოადგინოს საკუთარი თავი, აღნიშნოს, თუ რას საქმიანობს და რა კომპეტენციები აქვს განსახილველ თემაზე;
3. მონაწილეებს წარედგინებათ პირველი კითხვა და ისინი იწყებენ დისკუსიას, თავიანთ კომპეტენციებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. გონებრივი იერიშისა ან

მსოფლიო კაფესგან განსხვავებით, ფოკუსჯგუფში დაინტერესებული მხარეები მოქმედებენ თავიანთი როლისა და რეალური ცოდნის მიხედვით, რადგან ინფორმაცია, რომელსაც სხვებს უზიარებენ, უნდა გადამოწმდეს რეალური რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

4. ფასილიტატორი უზრუნველყოფს, რომ მონაწილეებმა განიხილონ ყველა კითხვა და გააანალიზონ ყველა თემა. ამ პროცესში, ფასილიტატორი ჩანაწერებს აკეთებს ფლიპჩარტზე, რათა ყველამ შეძლოს კომენტარების გაკეთება გაჟღერებულ საკითხებზე;
5. შეხვედრის დასასრულს, ფასილიტატორი მიმოიხილავს შედეგებს და, უკუკავშირის საფუძველზე, შეაქვს შესაბამისი შესწორებები, რათა შეჯამებაში ზუსტად აისახოს მონაწილეთა პოზიციები.

ფასილიტატორებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ასპექტები: მართალია, ეს პროცესი არ მოითხოვს ექსპერტული ცოდნას, თუმცა ფასილიტატორს გარკვეული კომპეტენცია უნდა ჰქონდეს განსახილველ თემასთან დაკავშირებით. მეტიც, ფოკუსჯგუფი უაღრესად პროფესიონალური შეხვედრაა, სადაც, მონაწილეთა ნდობის მოსაპოვებლად, ინტერაქცია უნდა წარიმართოს მაღალპროფესიონალურ დონეზე და მონაწილეებმა გამოამჟღავნონ ცოდნა კონკრეტული თემის გარშემო.

4.1.4 კვადრატი 4 - პარტნიორობა

ამ კვადრატში მოხვედრილი დაინტერესებულ მხარეები აღიქმებიან, *როგორც მაღალი ინტერესის, რელევანტურობისა და კომპეტენციის მქონე* აქტორები კონკრეტულ თემასთან მიმართებით. შესაბამისად, მხარეთა მონაწილეობა მოითხოვს არა მათი ინტერესის სტიმულირებას, არამედ მონაწილეობის სათანადო მექანიზმების უზრუნველყოფას, როგორიცაა სპეციალური საბჭოები ან პერიოდული შეხვედრები.

უფრო კონკრეტულად, გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- პრიორიტეტების დადგენა: დაინტერსებულ მხარეთა ჩართვა პრიორიტეტების განსაზღვრაში, განსახილველ თემაზე მათი ცოდნის და/ან გავლენის გათვალისწინებით; მათთან კონსულტაციის გავლა მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის შესახებ; სხვა რელევანტური დაინტერესებული მხარეების ჩართვა.
- გადაწყვეტილების მომზადება: გადაწყვეტილების მომზადება თანამშრომლობის საფუძველზე. დაინტერესებული მხარეები შეიძლება ჩაერთონ მათი კომპეტენციის შესაბამისი ნაწილის მომზადებაში;
- გადაწყვეტილების მიღება: გადაწყვეტილების მიღება დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მაგ: ამ მიზნით, შესაძლოა არსებობდეს სპეციალიზებული მუდმივი კომიტეტი);
- განხორციელება: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა ქმედებებსა და მეთოდოლოგიების განხორციელებაში. შესაძლოა, მათ დაევალოთ განხორცილების ფაზასთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების შესრულება;

- მონიტორინგი: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა მონიტორინგის მეთოდოლოგიის განსაზღვრასა და თავად მონიტორინგში (ეს შესაძლებელია სპეციალიზებული სამუშაო კომიტეტის შექმნით);
- შესწორებების შეტანა: დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა პოლიტიკის გაუმჯობესების პროცესში.

ქვემოთ წარმოდგენილი ინსტრუმენტები ხელს შეუწყობს „პარტნიორობის“ სტრატეგიის განხორციელებას (შესაძლებელია ინფორმაციის, კონსულტაციისა და დიალოგის სტრატეგიათა გამოყენებაც):

- სპეციალური კომიტეტის/საბჭოს შექმნა, რომელიც იმუშავებს გადაწყვეტილების მომზადების, მონიტორინგის ან შესწორებების კუთხით; კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა, მათი კომპეტენციებისა და ინტერესების სფეროს გათვალისწინებით;
- დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების/მემორანდუმის გაფორმება მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ, სადაც მიეთითება, თუ როგორ გადანაწილდება უფლება-მოვალეობები გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სპეციალური სამუშაო სესიების ორგანიზება, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში განისაზღვროს სიღრმისეული პრიორიტეტები, ამოცანები და სტრატეგიები. ამის მაგალითია EASW-ის ინიციატივა, რომელიც დეტალურად განხილულია ქვემოთ.

4.1.4.1 EASW - ევროპის ცნობიერების სცენარის სემინარი

EASW-ის ტექნიკა 1994 წელს შეიქმნა ევროკომისიის ინოვაციური პროგრამის ფარგლებში, როგორც ევროპის მასშტაბით ინოვაციური მონაწილეობითი პროცესების ხელშემწყობი საპილოტე ინიციატივა. მას შემდეგ, რაც EASW წარმატებით განხორციელდა გარემოსდაცვით საკითხებში (მაგ: „დღის წესრიგი 21“), იგი დაინერგა ადგილობრივი განვითარების უფრო ფართო კონტექსტშიც. EASW მოითხოვს სიფრთხილით დაგეგმვასა და ორგანიზებას. შესაბამისად, იგი ყველაზე შესაფერისი ინსტრუმენტია იმ დაინტერესებულ მხარეთა ჩასართავად, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომიტეტის ან ინსტიტუციონალიზებული შეთანხმების ფარგლებში.

EASW, როგორც წესი, გამოიყენება 24-32-წევრიან ჯგუფებში, რომლებიც დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა კატეგორიას მიეკუთვნებიან. ეს ჯგუფი იყოფა 6-8-კაციან ქვეჯგუფებად, რომლებიც პარალელურად მუშაობენ. შესაბამისად, EASW მოითხოვს ერთ დიდ ოთახს პლენარული სესიებისთვის და მცირე ოთახებს ჯგუფური სამუშაოსთვის. სამუშაო ოთახებში უნდა განთავსდეს მაგიდა (სასურველია, მრგვალი), წებოვანი ფურცლები, მარკერები და ფლიპჩარტები, რომელთა გამოყენებითაც იმუშავებს ჯგუფი. EASW მოითხოვს სპეციალიზებული „ეროვნული დამკვირვებლისა“ და იმდენი ფასილიტატორის ჩართვას, რამდენი პარალელური ჯგუფიც იმუშავებს.

EASW-ის პროცესი 2 დღე გრძელდება, რა დროსაც მონაწილეები მუშაობენ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ სამომავლო სცენარებსა და სტრატეგიებზე. სამუშაო ატმოსფერო ხელს უნდა უწყობდეს კომუნიკაციასა და ღია დიალოგს. შესაბამისად, სასურველია ყავის შესვენებების, ლანჩებისა და ა.შ. ორგანიზება, რათა მონაწილეებმა შეძლონ ერთმანეთის გაცნობა სამუშაო დროის მიღმა.

EASW-ის პროცესი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

1. მონაწილეები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სემინარის შინაარსზე, რათა შეძლონ სათანადოდ მომზადება;
2. პირველ დღეს EASW-ის ფასილიტატორი წარადგენს სემინარის მიზნებსა და მეთოდოლოგიას; ასევე, სხვადასხვა სამომავლო სცენარს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით;
3. ამის შემდეგ, თითოეული ჯგუფი (6-8 ადამიანი დაინტერესებულ მხარეთა თითოეული კატეგორიიდან) ფასილიტატორთან ერთად გადადის სპეციალურ ოთახში, რათა განიხილონ კრეატიული გზები შემოთავაზებული სცენარების გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამ ეტაპს ეწოდება „ხედვის შემუშავება“, რომელიც გრძელდება 1 დღე. თითოეული ჯგუფი გონებრივი იერიშით განიხილავს სავარაუდო სცენარებს, აკეთებს ჩანაწერებს პოსტერებსა და წებოვან ქაღალდებზე, ადგენს დიაგრამებს და ა.შ. პროცესში მათ ეხმარება ფასილიტატორი;
4. პირველი დღის დასასრულს, მონაწილეები პლენარულ ოთახში იკრიბებიან და თითოეული ჯგუფი განიხილავს წინა დღეს განხორციელებულ ქმედებებს. იწყება პლენარული დებატები, რომელთა მიზანია განსხვავებული ხედვების შედარებითი ანალიზის ჩატარება. პლენარული დებატების დასასრულს, მონაწილეები გამოავლენენ მათი ხედვებისთვის საერთო ელემენტებს, რაც ამოსავალი წერტილია მეორე სამუშაო დღისთვის.
5. მეორე დღეს მონაწილეები იკრიბებიან პარალელური სამუშაო სესიებისთვის. ამ სესიებზე თითოეული ჯგუფი იმუშავებს წინა დღის დასასრულს გამოვლენილ საერთო ხედვაზე *(რა გზებით შეიძლება ამ გამოწვევებთან გამკლავება? რომელი რესურსების გამოყენებით? რა სინერგიებია საჭირო? რომელი აქტორები არიან პროცესის ძირითადი მონაწილეები?);*
6. ამის შემდეგ, მონაწილეები კვლავ პლენარულ სესიაზე იკრიბებიან, სადაც წარადგენენ საკუთარი საქმიანობის შედეგებს, გამოავლენენ ყველა სამუშაო ჯგუფისთვის საერთო ელემენტებს და ირჩევენ საუკეთესო იდეებსა თუ ყველაზე რელევანტურ ქმედებებს;
7. EASW-ის ეროვნული დამკვირვებელი კოორდინაციას უწევს კონკრეტულ თემაზე რეკომენდაციების შემუშავებას გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და, გამჭვირვალობის მიზნით, ამზადებს შეხვედრის ანგარიშს.

შენიშვნა ფასილიტატორებისთვის: მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი და ყველა ინსტრუმენტი ჰქონდეთ დებატებში ეფექტიანი მონაწილეობისთვის. ამრიგად, მათ წინასწარ უნდა გაეგზავნოთ ადეკვატური ინფორმაცია და მასალები, რათა შეძლონ მომზადება და ინფორმირებულმა

დებატებმა/მუშაობამ სარგებელი მოუტანოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. სწორედ ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, შეხვედრის დასრულებისთანავე მომზადდეს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და გადასახედად გაეგზავნოს ყველა მონაწილეს, ყველა ძირითადი ელემენტის ასახვისათვის.

4.2 მონაწილეობის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები

მონაწილეობა არ არის სტატიკური პროცესი - იგი მუდმივად ვითარდება, რადგან ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაზრდა და მათთვის მეტი შესაძლებლობის მიცემა გადაწყვეტილების მიღებაში წვლილის შესატანად. ქვემოთ წარმოდგენილ გამოსახულებაში მოცემულია ის შესაძლო ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს წრიულ მოძრაობას დიაგრამის ფარგლებში და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას თემში.



გამოსახულება 15 - დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გაზრდის სტრატეგიები

4.2.1 სტრატეგია 1 - ინფორმაციიდან კონსულტაციამდე

მისი მიზანია, გაზარდოს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესი ხელისუფლების

პოლიტიკურ დღის წესრიგში წარმოდგენილი თემებისადმი, რათა მათ საკუთარი მოსაზრებები და უკუკავშირი წარმოადგინონ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე - პრიორიტეტების დადგენიდან შესწორებების ეტაპამდე - მაშინაც კი, თუ მათი რელევანტურობა კონკრეტულ თემასთან მიმართებით დაბალია.

ამ მიზნის მისაღწევი ქმედებები მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლებას და მათთვის მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდებას.

კომუნიკაციის გეგმა

- სპეციალური საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება იმ დაინტერესებულ მხარეთა პროფილირებაზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრულია პოტენციური სამიზნე ჯგუფის სახით. პროფილი შეიძლება მოიცავდეს სპეციფიკურ ინტერესს, ყველაზე ხშირად გამოყენებად საკომუნიკაციო არხებს და ა.შ.;
- განსახილველი თემის კოორდინირებული გრაფიკული იდენტობის შექმნა (ლოგო, ბროშურისა და პრეზენტაციების შაბლონების შემუშავება);
- სოციალურ მედიაში ანგარიშების შექმნა კონკრეტული ინიციატივის/თემის შესახებ (Facebook, Twitter), დაინტერესებულ მხარეებისგან/მოქალაქეებისგან კომენტარების მისაღებად;
- ინსტიტუციის ვებგვერდზე განახლებული ინფორმაციის განთავსება თემის შესახებ;
- სპეციალური ადრესატთა სიის (mailing list) შექმნა (დაინტერესებულ მხარეთა ანალიზზე დაყრდნობით), რათა ამ მხარეებს სიახლეები დაეგზავნოთ მათი ინტერესებისა/აქტივობის შესაბამისად;
- პერიოდული პრესკონფერენციების დაგეგმვა და პრესრელიზების მომზადება, რათა დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებას მიეწოდოთ ინფორმაცია თემის შესახებ.

ღია კარის დღეების მოწყობა

- თემაზე ინფორმირებულობის ასამაღლებლად, ღია კარის დღეების მოწყობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თავშეყრის ადგილებზე;
- ინიციატივების განხორციელება სკოლებში, კონკრეტულ თემაზე ცნობიერების ასამაღლებლად;
- დაინტერესებულ მხარეთა მიწვევა თემასთან დაკავშირებულ დებატებზე, მათი ინტერესის სფეროს შესაბამისად.

4.2.2 სტრატეგია 2 - კონსულტაციიდან დიალოგამდე

მხარეები, რომლებიც უკვე დაინტერესებულნი არიან თემით, ხშირად მზად არიან, აქტიურად ჩაერთონ და წვლილი შეიტანონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასეთ აქტიურ მხარეებში იმედგაცრუების ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, საჯარო ხელისუფლებამ ინვესტიცია ჩადოს მათი შესაძლებლობების განვითარებაში, რათა

მათ აიმაღლონ კომპეტენცია და საკუთარი წვლილი შეიტანონ პოლიტიკის შემუშავების შემდგომ ეტაპებზე.

შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგი:

- ღია ტრენინგების ორგანიზება მონაწილეობის საშუალებებსა და ინსტრუმენტებზე - ყველა იმ დაინტერესებული მხარისთვის, რომელმაც გამოხატა ინტერესი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურად მონაწილეობისათვის;
- ზოგჯერ ადგილობრივი ხელისუფლების რესურსები ითვალისწინებს უფასო ტრენინგებს დაინტერესებული მხარისთვის, თუმცა ამ ინიციატივას შეიძლება მხარს უჭერდნენ „პარტნიორობის" კვადრატში მოხვედრილი დაინტერესებული მხარეებიც, რომლებიც მზად არიან, დააფინანსონ ტრენინგი, ან თავად გაუწიონ ადმინისტრირება პროცესს, ვინაიდან უკვე ფლობენ მაღალი დონის კომპეტენციას. შესაძლებელია განაცხადის წარდგენა ევროკავშირის დაფინანსების მისაღებადაც (მაგ: EACEA პროგრამიდან), ვინაიდან ასეთი პროგრამები მხარს უჭერს აქტიური მოქალაქეობის წამახალისებელ ინიციატივებს.
- ონლაინ პლატფორმის შექმნა უკუკავშირის წარსადგენად, ასევე, ცოდნისა და ინფორმაციის გასაზიარებლად ყველა შესაბამისი მხარისათვის:

i. პროექტის/ინიციატივის ხელშემწყობი მხარე (მაგ. მუნიციპალიტეტი);
ii. „პარტნიორი" დაინტერესებული მხარეები (ე.ი. ვინც ხვდება „პარტნიორობის" კვადრატში);
iii. „დაინტერესებული" მხარეები (ე.ი. ვინც ხვდება „კონსულტაციის" კვადრატში).

ეს ხელს შეუწყობს ცოდნის/ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა ტიპის დაინტერესებულ მხარეს შორის.

4.2.3 სტრატეგია 3 - დიალოგიდან პარტნიორობამდე

„კვალიფიციურ" დაინტერესებულ მხარეთა ინტერესის წასახალისებლად, მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა პირისპირ დიალოგებსა და კონტაქტების ქსელის (networking) შექმნაში, რათა გამოვლინდეს შესაბამისი წამახალისებელი საშუალებები და მხარეები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ (პარტნიორების სახით) გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდივიდუალური ჩართულობა

- პირისპირ შეხვედრების ორგანიზება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, რათა გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა კონკრეტულ საკითხზე და დადგინდეს მათი პოტენციური ინტერესი პროცესში უფრო აქტიურად ჩასართავად.

ჯგუფური ჩართულობა

- კონტაქტების ქსელის ხელშემწყობ ღონისძიებათა ორგანიზება (მაგ: ვახშამი, სადილი, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები), სადაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები შეძლებენ ერთმანეთთან შეხვედრას და

მოსაზრებების/იდეების გაცვლას კონკრეტულ თემაზე;

- კონტაქტების ქსელის ხელშემწყობ ღონისძიებათა ორგანიზება იმ დაინტერესებული მხარეებისთვისაც, რომლებიც ხვდებიან „პარტნიორობის“ კვადრატში, რათა წახალისდეს დიალოგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩართულ აქტორთა შორის;
- სპეციალური საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, რომელიც იმ სიხშირით შეიკრიბება, რომ ზედმეტი ტვირთი არ შეუქმნას საბჭოს წევრებს. საკონსულტაციო საბჭოს ყველა წევრს კონკრეტული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გადაწყვეტილების გადახედვის პროცესში.

4.2.4 სტრატეგია 4 - პარტნიორობის განმტკიცება

„პარტნიორობის“ კვადრატში მოხვედრილი დაინტერესებული მხარეები მზად არიან, გააგრძელონ აქტიური ჩართულობა. ამავდროულად, უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობის შენარჩუნება და მათი როლის/ძალისხმევის სათანადო მხარდაჭერა.

კომიტეტების შექმნა

- საჭიროა მუდმივმოქმედი კომიტეტების ჩამოყალიბება, რომლებიც იმუშავებენ კონკრეტულ თემაზე და წაახალისებენ გრძელვადიან თანამშრომლობას (არა მხოლოდ კონკრეტულ ინიციატივებთან მიმართებით, არამედ მათ მიღმაც).

კონტაქტების ქსელის შექმნა (networking)

- მისი ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებით, სხვადასხვა კომიტეტის წევრებს ექნებათ ერთმანეთთან შეხვედრის, იდეების გაზიარებისა და ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა. ეს პროცესი წამახალისებელ გავლენასაც მოახდენს, რადგან მსგავსი ღონისძიებები ეხმარება მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

ბიუჯეტი

- თუ სხვადასხვა კომიტეტის წევრებს ხშირად უწევთ მივლინებები, რეკომენდებულია სპეციალური ბიუჯეტის შექმნა სამივლინებო ხარჯების ასანაზღაურებლად, რათა „პარტნიორობიდან“ არ გამოირიცხოს არცერთი დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ შეუძლია სამივლინებო ხარჯების დაფარვა და, შესაბამისად, შეხვედრებში მონაწილეობა.

5. გამოყენებული წყაროები:

Conference of INGOs of the Council of Europe, Code of Good practice for Civil participation, 2019. Available at: https://rm.coe.int/code-of-good-practice-civil-participation-revised-301019- en/168098b0e2

Council of Europe, CDLR (2008). C.L.E.A.R. Tool. https://www.coe.int/en/web/good-governance/toolkits

Council of Europe, CM(2017)83, Guidelines for civil participation in political decision making. Available at: https://rm.coe.int/guidelines-for-civil-participation-in-political-decision-making- en/16807626cf

Council of Europe, CM/Rec(2018)4. Recommendation of the Committee of Ministers to member states on the participation of citizens in local public life (21 March 2018). Available at: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807954c3

Council of Europe. *European Experience of Citizens' Participation in Cross-Border Governance*. (2015) Gorizia: ISIG, Available at: https://rm.coe.int/1680686b1b

Pellizzoni, L. (2008). Politiche pubbliche e nuove forme di partecipazione in «Partecipazione e Conflitto» – 2008, n. 0, pp. 93-116 . Available at: https://dispes.units.it/sites/dispes.units.it/files/all_pers/Politiche%20pubbliche%20e%20nuov e%20forme%20di%20partecipazione.pdf

სხვა გამოყენებული მასალები:

Council of Europe, (2014). Manual on removing obstacles to CBC. Availble at: https://www.coe.int/en/web/good-governance/transfrontier-cooperation

Council of Europe and ISIG: EDEN. https://www.coe.int/en/web/good-governance/toolkits

Council of Europe, CDDG (2016) GT-SC(2016)2. Civil Participation in Decision-Making Processes - An Overview of Standards and Practices in Council of Europe Member states. Available at: http://rm.coe.int/doc/09000016806fa094

Council of Europe, CM/Rec (2001)19E. Recommendation of the Committee of Ministers to member states on the participation of citizens in local public life (06 December 2001). Available at: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016804f513c

Council of Europe, (2012). *Cross-Border Cooperation Toolkit*. Strasbourg: Council of Europe, https://www.coe.int/en/web/good-governance/toolkits

De Fatima, & Amante, (2010). Local discursive strategies for the Cultural construction of the border: the case of Portuguese-Spanish border . Journal of Borderlands Studies, volume 25,No.1/2010.

MFAR, ICEIDA and UNU-FTP, *Stakeholders and stakeholder analysis in Project Cycle Management.*
A short training course in project cycle management for subdivisions of MFAR in Sri Lanka. Available at: http://www.unuftp.is/static/files/short_courses/pcm_sri_lanka07/D2_L3_Stakeholder_Analysis.ppt

Shimaski, J., & Wolfe, S. (2010). *Cultural production and negotiation of borders: introduction to the dossier*. Journal of Borderlands Studies, volume 25, No.1/2010.

Stafanik. (2009) *Transboundary Conservation: Security, Civil Society and Cross-Border Collaboration*.
Journal of Borderlands Studies, volume 24, No.2/2009.

კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრი:
https://www.coe.int/en/web/good-governance/centre-of-expertise

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE